

652/2

1997

28

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ԶՈՒՅՈՒՆԻՈՒՅՈՒՆ

ISSN 0134 3459

# Հայոց



გენოციდი!



## საქართველოს პარლამენტის გრძანებულება

1997 წლის 1 ივნისი ქ. თბილისი  
ზ. გორგილაძის ღირსების ორდენით  
დაჯილდოების შესახებ

ქართულ ლიტერატურაში შეტანილი დიდი წელილოსათვის, ხაყოფილი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ქართველ „ტორონბის“ რედაქტორი, პოეტი ზურაბ გორგილაძე დაჯილდოვდეს ლირსების ორდენით.

© გეგარდნაბე

# ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରୀ

გამოცემის 39-ე ფენტი 3 აპრილი - 2020

କା ମେହିନେରି ଖଣ୍ଡରୀ ଦିଲାପୀ, ଆଶିନୀ  
କା ଅରମାତାଙ୍ଗୀ, ମହିଳାଶାସି ବୈଜ୍ଞାନି...  
କାଲ୍ପନି-କାନ୍ଦେଶ କାର୍ଯ୍ୟବୋଲି ଶାନ୍ତିକା  
କାନ୍ଦେଶାବଳୀରେଟ ଓ କାର୍ଯ୍ୟବୋଲିଟ.

*[Signature]*

፩፻፲፭

საქართველოს მდგრადი კავშირისა და აჭარის  
ონგარეზაციის საღიტესატ უნი-საზოგადოებრივი  
უნიადი

ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀ

გულაბაზი!  
მთავარი რედაქტორი  
საღლო გარემა

სარედაქციო კოლეგია

ვასტანგ ახვლებიანი  
ზურაბ გრიგოლაძე  
გამია ვარშავიძე  
(პასუხისმგებელი მდივანი)  
შოთა ვოიკვა  
დავით თელონიაძე  
ალექსადრე სამსონია  
რამაზ სერგაციძე  
გურაშ ვაცვიძე  
ამირან საგაზი  
ვრიძონ ხალვაში  
ჯემალ ჯაფელი

მისამართი ვაკელია  
ბრძანებულების მისამართი

თელონიაძე ვაკელია

0861966

თელონიაძე ვაკელია მთავარი რედაქტორი  
ნიკოლა გულაბაზი და სახელმწიფო მისამართის  
მდივანი და მთავარი რედაქტორი ვაკელია მთავარი რედაქტორი  
მთავარი რედაქტორი ვაკელია მთავარი რედაქტორი  
სამსონია ვარშავიძე მთავარი რედაქტორი  
ვაკელია ვარშავიძე მთავარი რედაქტორი

## პოეზია, პროზა

ახა კალანდაძე

თორედე იძინდა, თბილები ფაფა  
... უკუ მაუგრძელ თუ თუ ფირცვები ფაფა  
“თუძე” ინტერ მისა ცალი

\* ცალი

დიდება შენდა, მეუფეო,  
შენდა დიდება:

უცხო ნათელი მოევლება

ამ შებინდებას,

იშლება ირგვლივ ზამთრის სუსნი

კრელ-კრელ მინდვრებად

და უცხო ნათელს

სული პეპლებრ

გაეციდება!

\*

როგორ კაშკაშებს ვარსკვლავთა ხომლი

კვლავ ჩემდა წილად...

ვარსკვლავიანი სინათლის ჩქერი

რა უცხოდ ბრწყინავ!

\*

სულთა სპეტაკთა, სულთა მართალთა

შარავანდელი ისევ ევლება

დაუსრულებელ ამ ჭოჭოხეთშიც,

ამა ქოსშიც

განურჩევლობის!

\*

შემოგლალადებთ სამადლობელსა  
ძალთა ცისათა

სულ ერთი წიმის, სულ ერთი წიმის

სისაცისიათვის,—

ადგა ყვავილნარს ანგელოსისა

მჟინგალი ჩრდილი,



ଲୋକାଦ୍ୱାରା ପ୍ରକାଶିତ ଏହା ଶିଳ୍ପିଙ୍କରୁଷିତ ମନ୍ତ୍ରରେ  
ସାମେତିକ ମର୍ମିଣିଲୀ...

\* 666

ବୁଦ୍ଧ ମିନଦେଶୀର, ବୀକ୍ଷଣାର ଫ୍ରେଣ୍ଟର,  
ବୁଦ୍ଧ ମହାପ୍ରାଚୀନ ଓ ଲର୍ଣ୍ଣବ୍ଳାଙ୍କି ଶ୍ରୀଲଙ୍ଗ...  
ଲକ୍ଷ୍ମୀଶ୍ଵର, ମହାଯୋଗ, ଦିନଦେଖ ଶେନ୍ଦର:  
ବୁଦ୍ଧି ତୁ ଓ  
ବୁଦ୍ଧି... ଶ୍ରୀଲଙ୍ଗ! ୧୨୭

\* ၁၂၁၃

என, நானுடதி மீண்டுமினி சொன்னது....  
ஏன் வீர் என் வீர் என் மீண்டும் சொல்லும் போல்,  
சொல்லும் போல் கொடுக்கும் சொல்லும்,  
ஒன்றி, போல் கொடுக்கும் போல்  
பீர்தால் போல் கொடுக்கும் போல்  
ஏன் மீண்டும் சொன்னது....

\*

გადასუსტიობა ეკადა  
შეტყო მართლისა ოდით...  
კვლევ საეჭმიკოს რეკნ  
ფარისისეკლითა შტოდა!

\*

ისევ იგივე, — მზე ამოდის,  
მთვარე უკება,  
ირევა ტყეუილ-მართალი და,  
ჰეი, ურცხვობა,  
უამი დაქრიაფს და შენც აქა ხარ,  
აქ ხარ ისევე,  
წმინდანთა კრებულს სამოთხისკენ  
შენ წარუდღები!

三

ოთხს მავანი „წილომილა“

შენით თვალებიან

დის როს იზრახვენ, შეტაცების

ალბართონ ჭვირი,

ନୀତିପ୍ରକଳ୍ପରେ ମହାନ୍ତିରାଜୀବି ଓ ମେ ପାତ୍ରବିଦ୍ୟୁତ୍, ଏବଂ

შენია მსჯავრი,  
რომ წრფელის გულის თუნდაც „კოდვაც“  
არს უნებლიერ!

წერები  
წერების

\*  
No-6

შეგზაური მიმდევ გვარს,  
ბედს არ ემდეური,  
გიღია შენოვის ღვთის თუ ძაცის  
წყალობა მცირე.  
ვაუსაძლისი შეგყრია და  
ხმოვე ეს ჭირიც  
ჭირით დამთრებმა, უსიტყვოს და  
უსაყველუროს!

კონკრეტული კონკრეტული  
\* (კუსინი კუსინი)

მენი ლიმები შავთა საიდუმლოთ,  
გული ხალველთა შეკრის ძალამო...  
იქ ავალ, მაღალ მთაზე დაგწევდები:  
მხოლოდ შენ, შენ ერთს  
მოვესალმო!

\*  
... ასეთი მათები

ო, სამართალი, ისევ ისე  
დადიხარ ურმით...  
ამ ყიაბეთში ვით გაიგნე  
გზა და ვზირვრილი?  
მეუფისადმი ძალლობით ვარ  
ხელებგაწვდილი,  
რომ განუქოთხავ ქვეყანაშიც,  
არ გმინავს თურმე!

\*  
... ასეთი მათები

კლიფ იძულებულ მინდვრებს გადადის,  
ძიებიხება ჩურჩულით ლეთე...  
„მე არ ვიქნები თქვენთან მარადის,  
მე არ ვიქნები მარადის თქვენთან!“

\*

\*

ჩავუტებ უფსერულს, პირგვარს ჭიშნანდა  
ჩამძანის გიღაც:  
აქეთ!  
მზისაკენ!

\*

ვინ ჩამოყიდა ჩემს კარავთან  
კედირის ტოტი  
(ცვლავ მინიშნება თუ არ ზეთა?)?  
კურთხეულ გზაზე ცის კარნანით  
ის მაშინ მოდის,  
ოდეს ჩემს ლამპარს ღვთაებრივი  
აკლდება ზეთი!

\*

ვიდრე დავშრტები სავსე ყელამდე  
(ვიშრიტები კი უშენოდ მყისვე!)  
ხმასა ზეციურს მაღლობით ვისმენ,  
შენთვის ჩამოქნილს ვანთებ კელაპტარს!

\*

— იმ ქვეყანაში წყალობა ღვთისა  
გადაგვაფარებს გალთის ორივეს....  
— ამ ქვეყნად მინდა, მესროდე ისარს,  
ფრთას მივითრევდე დაჭრილ ვნოლივით!

\*

— მოდიხარ მინდორზე, მილიმი,  
მოდიხარ ყვავილთა თოვაში...  
— ?  
— სიზმარში, სიზმარში ვინილე  
„აღვილსა მას მწვანილოვანსა“...

\*

მაღლი გფენია, მაღლი გფენია  
ისევ მოწყალეს და კარგილებულს...

დე, ცათა შინა კვლავ ვიღებუნია  
 ათას კელაპტრით გაჩხახებულს!

ძეგლის

\*

ისევ ქარები მხვივანი,  
 ისევ ბიბინა მინდორი,  
 კვლავ ყმაწვილურნი ხილვანი  
 გულზე ცეცხლმოსაკიდონი!

\*

სიხარულს ჩემსას, მზისკენ რომ იღტვის,  
 მეჩეჩზე რიყავ...  
 სად გაქრა, საით, საით გაფურინდა  
 გრძნეული სიტყვა?  
 ზმანება იყო?

\*

გზა იქით, სადღაც და კიდევ სადღაც...  
 კლდების შვერილს მზე ეფარება.  
 მზეი ცხრათვალა ბრიალებს სადაც,  
 შენც, შენც იქა ხარ, იღუმალებავ!

\*

ისევ შეიცნო გულმა  
 შხამი ეშმაკთა მთავრის...  
 ირგვლივ წილეოტნი დუმან,  
 სად მივიღრიყო თავი?

\*

ნევი მდუმარე, მშრალი და უწყლო  
 წყალ თა სისიცით გრგვინავდა უწინ,  
 აცხოველებდა ირგვლივ სანახებს...  
 თუმც დაუფარავთ იგი ზალახებს,  
 სწამს, მოიღებენ წყალობას ცანი, —  
 მოვარუებიან უჟცრალ წყალნი!

\*

სამოთხისებრი მყუდროების

უძმი კოველი

აღარ მგვირის შეებას, — დარღს მიახლებს  
და მიცხოველებს...

\* მინ. მინ. მინ.

გამომეცხადე დამეულ ზღვაზე

მშენებრ ნიმფად

ო, სასწაულო, აქვე, ახლოს ნახოს

კრთის შენ ნიმბი!

\* მინ. მინ.

ისევ ბორგავ და აწყდები ნაპირს,

სუსტი ნოემბრის

ვარდობად გიჩანს კვლავ, ჭაბუქო

უსაზღვროებავ!

\* მინ. მინ.

დავეკითხები ღამეს მისანას,

მთვარის ნათელი კვლავ რომ იელვებს,

ანგელოსად რომ ვარდაისახა,

გინ იყო იგი?

— სატანაილი!

\* მინ. მინ.

ჰა, წამბილწევნი სიწმინდეთა

და მათნი გზანი...

ფხიზლობენ ისევ, შურისგების

კოცონს ანთებენ.

ვანა ოდესმე ძალლის კუდი

ვანიმართების?

ხომ იგივეა, იგივეა

კორჩხიბთა სვლანი?

\*  
 ეფექტური კონცერტი  
 ეშმაკულთა დაწონეს პინა,  
 გულშიგან სინჯაგ შეტისას ნატეხს...  
 მხეო მაღალი, მშვიდობა გვთინე,  
 გზეო მაღალი, სმხხევე ვემატე!

\*  
 ეცლება ციხეს ლოცი ნითალი,  
 გავჭიდარეართ ჩვენივ სახეჭ-სათალი.  
 შენ იზეიმებ, შენ იზეიმებ,  
 შენ წამოლები კვლავ,  
 სამართალი!

\*  
 ცოლვა და მაღლი ძევე ირევა,  
 სიტუა გავიქრა იძედიანი.  
 გვჭერა, — მოაშთო მგელი... ირემმა!  
 დიდმა სამსჯავრომ  
 დაიგვიანა!

\*  
 ა, იუდაც კი... თანამერნობთა  
 თავისთა პოვებს,  
 პყავს მასაც მრევლი, ვით ამ სოფლად  
 სიბრიუვეს ყოველს!

\*  
 უზენაესო, შენია ნება,  
 მაგრამ რაისოფის ესე კირთება?  
 რამ მოგაფიქრა წისქვილის ქვების  
 ვარდის ტოტებზე ჩამოყიდება?

\*  
 ნეტა რა იყო ღამეული  
 იყი ჩვენება,  
 ისევ სიცრუის ბურუსში რომ  
 უნებურ მხვევლა?



ეფინებოდა მთვარის სხივი  
სარკმელთა ჩემთა  
და, ღმერთო ჩემო, მაინც მისი  
სმენა მენება!

\*

ისევ და ისევ ქრიშობისთვეში,  
იბრიალებულ ვარსკვდლავთა ქვეშე  
მიწით ზეცაძღვე იდგა ნათელი,  
ჩამოშლილიყო უფლის კალთები!

\*

გადაუვლიან საუკუნენი  
უცხოდ აქოჩრილ ზეციურ ბალებს...  
კვლავ ჭიხვინებენ ცათა ჰუნენი,  
კვლავინდებურად დაწყვეტილ აღვირს!

\*

ჭეშმარიტების ყალბად მქოცელნო,  
ოქენ დღესაც ტუშით, ფარისეველნო,  
როგორც ტულდით პალესტინაში  
ქვეყნად მოიჩელ  
უფლის წინაშე!

\*

ჭრელი ვრიალებს ბრბო და  
კვლავ ბრძენს აჭარბებს შლეგი:  
— ბარაბას ჩვენი ოდი!  
უფალს...  
ჭვარს აცვით ეგე!

\*

საღამოების ნეტარი უამი,  
მაგრამ... სხვა გზისას რევენ ზარები...  
არ მეშინია ლუსკუმა ლამის,  
შორს, შორს, შორს ჩემვან,  
შემოლიმებავ!

\*

ძირის ვუთხრით ჩრდინას, მწვალებლობის  
ზარი გუცუნებს....  
ისევ ჭრელდება საუკუნე,  
ეს საუკუნე....  
ეს ისევ ისე შეფრეჭული  
მუხას მუმლია:  
ივლის სიონი, დასაბამით,  
როგორც უვლია!

\*

ნუთუ გავივლი ბეჭვის ხიდზე,  
მეუჯევ ჩემო,  
უცოდველობით ძალმოსილი  
შენს სახლში შევალ?

\*

როს შავი ფიქრი ისევ მომიცავს,  
ამ ფიქრით შიში,  
მათგან თავდახსნის (ო, უკუველად!)  
მაძლევენ ნიშანს!

\*

ჩემი სანთლები შენთვის იწვიან,—  
სამაღლობელი არ დამკიწყნია  
მაღლის გვირგვინით ყოვლთა მკობელი!  
შენდა მაღლი შესაწირავი  
უხმაუროდ და ჩუმად იწე' კის  
ჩემში!  
პა, ჩემი სამაღლობელი!



## რეზო ჭეშმაღლი მედვედევსკის ტყეში

.... ქვირფასთ გალავტიონ, გაზაფხულია, გაზაფხულზე წყდება აღმამანის საცოცხლე, მე მესმის, ვგრძნობ, ვხედავ, გაზაფხული თუ რჩქება საქართველოში, ვეღოში, ვგრძელ შენ, ვხედავ ქვირფასთ!

ჩვენს კორებზე ფისტილითონის გაფრინ, ჩემი წერილების გამო, ვდრო გაიგონებ.

როგორ უცნაურად შეწყდა ჩემი ცხოვრება. როგორი თვალეშედებული წინააღმდეგობების ზღვდე აღმართა ჩემსა და ცხოვრებას შორის.

შეციდობით.

კარე ერთხელ გამშეიდობება, ცხოვრებაფ!

ოდი

1940 წ. 30 მარტი.

დიდი ომის დროს, 1941 წლის თერთმეტ სექტემბერს ქალაქ ორიოლთან „მედვედევსკის ტყეში“ დახვრიტეს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ვერით მსჯავრდებული სორმოცდაზევიდმეტი /157/ პოლოტპატიმირი.

ვერმანელთა გარების შემოტევისას, ქალაქ ორიოლის ეკაცუაციის დროს ანტისაბჭოთა პროპაგანდის მისაღაებით ციხეში დასახვრეტად გადაირჩის ასამიცდაათი /170/ ტუსაღი და დადგენილებით გამოუტანეს სასიკვდილო განახენი, თუმცა, სასამართლო, განსასკულო გარეშე, მაინც შედგა, ქაღალდებიც შესაბამისი სიტუაციის მიხედვით გაფორმდა და დარჩა.

1941 წლის 6 სექტემბერს, განჩენის აღსრულებამდე ხუთი დღით ადრე, დადგენილების ხელი მოწერა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ იოსებ სტალინმა და ციფრი 170 წითელი ფანჯრით მსხვილი გახდა.

სია უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის სპეცგანყოფილების თანამშრომლებთან ლ. ფ. ბაშტაკოვთან და მ. ი. ნიკოლასკისთან ერთად ციხის აღმინისტრაციის წარმომადგენლის თანდასწრებით, შეადგინა: შენიშვნები და კომენტარები დაუროვნ ბ. ზ. ქობულოვმა. სია და დადგენილების პროექტი თავდაცვის კომიტეტში წარიადგინა, ასამოცდაათი /170/ ყცის ლიკვიდაცია დაასასჭიროა ლ. პ. ბერიამ; კლაილებით თქვენს განკარგულებასთ, მიმართა თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს. პისუხმა არ დაიყოვნა. იმავ დღეს /ეჭვს სექტემბერსვე/ მიიღო სიტყვიერი თანხმობა და დადგენილების ტექსტი:

„ଶାନ୍ତିମିଳ“: ପିଲାଙ୍କ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ରୋଗରେ ଏ ଉପରେ

ତାପିଲାକୁ ପାଇଁ ଶକ୍ତିରେଣ୍ଟ ଦୂରୀତିରେ  
ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରୀ । ୧୩-୧୫-୧୯୪୧ ମୁହଁ

დადგენილება №- გკՕ - 634. 6 სექტემბერი 1941 წელი.  
გამოყენებულ იქნას სასჭელის უძინვლესი ზომა — ღამერეტია —  
ტერიტორიის ტულ-შპილნურ-დივერსიული და მისი სიდავი კონტრავ-  
ლუციური საქმიანობისთვის სხვადასხვა დროს მსჯავრდებული 170  
კატეგორიის მიმართ. მისალების გადასინჯვა დაეფილოს უძინვლესი  
სასჭელოს სამუშაოს კოლეგიას.

କେବଳ ଏକ ପରିମାଣରେ କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ

© ბ. სტარინი

კალალდის პირველი შენობა, რომელიც გადასახლდა 11 სექტემბერს ქალაქ რიონილიდან ათი  
ორი ლის შემდეგ მცირებით მცირებულობრივობს ვზატვიცილთან,  
კილომეტრის დაშორებით მცირებულობრივობის „მედიეს ტელევიზიას“  
სასრულეში მოყვანა ენციცლო-  
პედიკოდირატორულმა გვუვად.

სეკურიტატული გვეკვა. სიკლილმის განვითარები საგანგებოდ მითოვის გამონათვის უფლებულ ცოხის დამინისტრაციის დიდ ღარძაზე და ცოცხლადმიცდრებს — ცოცხლადგანწირული, „საეტიპოდ“ გადაწყვიბილი პატიმრები რომ არ დაეცროთხოთ — პირში უსურობენ და ჩერის ბურთებს და ჩიხევრილებელ ტილანებში შიარბენინებდნენ, რომ აუთებულ განერებულ სტუმანქანებში ტენიდნენ.

ମ୍ୟୁଦ୍ରାଙ୍ଗଳେଖାକୁ ତ୍ର୍ୟଶି ନେଇଲାନ୍ଧାଙ୍କ କ୍ଷେତ୍ର ଲୋହତାରୀତ ଓ ନ୍ୟୂନତା  
ରୀ ଏବଂ ନାମର, ତ୍ର୍ୟଶି-ନାମର୍ଯ୍ୟରୀ ପାଇ ଗୁଡ଼ିଲାଣ. ଜୀବନ୍ତବ୍ୟବିକାଳରୁ  
ଲୋହତାଙ୍କ ତ୍ର୍ୟଶିର ମାତ୍ରାରେ କ୍ଷେତ୍ରକୁଣ୍ଡଳତାରୁଥାବଧିର୍ଥାଲାଭ ଓ ନିର୍ମାଣ କରି  
କ୍ଷେତ୍ରମେହାରେ ଆଗ୍ରହୀଙ୍କଙ୍କେ, ତଥାଲାଭ ପ୍ରାଚୀନତାରୁଥା ଉତ୍ସବରୀ, ମୌର୍ଯ୍ୟ ମିଥ୍ରମହାଦେଵ  
କ୍ଷେତ୍ରରେ ଏବଂ ସୁନ୍ଦରମନ୍ଦିରାବଳୀ. ମିଥ୍ର ନେଇକୁଣ୍ଡଳ,  
ନ୍ୟୂନତାରୀତ ଓ ନ୍ୟୂନତାରୀତରୀତ ପାଇଲାଣ. ତ୍ର୍ୟଶି  
ଗାଢାନ୍ଧାଙ୍କ ଲୋହତାଙ୍କ ତ୍ର୍ୟଶିରେ. ତିରିକ୍ଷାଦାତାଙ୍କୁଣ୍ଡଳରେ, ଫିଲିଫିଲିମନ୍ଦିରିଲାଙ୍କ  
ଜୀବନ୍ତବ୍ୟବରୀ ଓ ଏକାକୀବ୍ୟବରୀ ମାତ୍ରାରେ ଅନ୍ତର୍ବିଦ୍ୟାରେ ନାମର୍ଯ୍ୟରେ, କ୍ଷେତ୍ରକାଳୀ,  
ଅଭ୍ୟାସରୀତେ ପ୍ରତିବି ଗ୍ରହମାନ୍ତରୀକ୍ଷଣରୀ, ଲୋହତାଙ୍କ ପାଇଲାଣ ମହାଵ୍ୟବସ୍ଥାରେ  
ଗ୍ରହତାଙ୍କ ପ୍ରକାଶରୀତିକୁ, ମହାଲାଭରୀ ବାଲୀ ଏକାନ ପୁଣ୍ୟକ୍ଷେତ୍ରରୀତ.

ტექ ერ ქვევით და ქვევით ჩადიოდა მანქც, კოდებს რეცპლიქ წერილი  
და ნიაღვრებს ჩაქონდათ ძვლები რასხარუსტით ტაფობში.

რამდენიმების მონდომებით, ორამარტო ტეირის შემსუბუქებით,  
არამედ ვულერთვულ-მოდგინებით, მსხვილი, წითელი ფანქრით,  
ციხის ევაკუაციის დროს სიცოცხლეს ერთდროულად გამოისალმეს  
ასორმოცდაჩვიდმეტი /1571 დაბიანი. უხენესი სამოცდაცხრამეტი /1791/  
უმრწმესი ცხრამეტი /1191 წლის გიხლდათ, ოცდახუთს ოცდაათი /30/  
წელ არ შესრულებოდა.

ქართველები მათ შორის:

გალინა ბრონისლავის ასული ბოლქვაძისა, შალვა ანტონის ძე  
მიქელიძე, ბაგრატ სპირიდონის ძე ჭუმბურიძე და ოლია სტეფანეს  
ასული ოჩუგავა, გალაკტიონ ტაბიძეს მეულლე, დაბატიმრებამდე,  
თბილისშიც რომ ფეხებდასიებული დადიოდა.

სტალინის აზრით, ერთი კაცის სიკვდილი ტრაგედია, მრავლის  
სტატისტიკა იყო, ის მრავალი ხომ ერთეულებისიგან შედგებოდა.

პირველი ცოლი, სვანიძის ქალი ბაქოს გარეუბნის ცივ, ნესტიან,  
უპაერო ბინაში უყურადღებობით, უპატრიონობით დაუჭილებდა. ქმრის  
დაუკითხავად /მის ადგილსამყოფელს ვერც მიავნეს/ წაიყვანეს  
სამშობლოში, რაჭაში, სადაც გარდაიცვალა კადეც. განიცადათ ძალიან  
საყვარელი თანამეცხელრის სიკვდილი, ცოლისწილ, ნედლ საფლავში  
ჩიხტო მიცვალებულის ჩასვენებამდე; ჩიხტა, ჩიგარდა, კუბოს ჩაყვა,  
არაა ცნობილი, მაგრამ ნამეტანი კომიუნისტი კი გამოიყურება დღვე-  
ანდელობიდან ეგ ამბავი. გული გამიქვავდა სამუდამოდ, უთხრა  
თურქე სემინარის მეგობარს დასაფლავების შემდევ. დარჩა იმოლი  
ბიჭუნა; წამოჩიტეს დედლულეთში და გაუგზავნეს სახელოვან მამას  
მოსკოვში, ქრემლში. მორცხვი, მორიცებული, რუსულთან შემწყროლი,  
უყურადღებოდ მიტოვებული რაჭველი სრულიად გაცეცხლდა  
გაუცხოებულ სამყაროში. შე შობელძელლო, თავის მოკვდიც არ  
შეგიძლია?! უთხრა მიმამ ქართულიად, როცა იაშვა ჭულაშვილს თვი-  
თმჯულელობა დააბირა, თუ გაითამაშა. ომის დროს ტყვედ ჩიგარდა და  
გერმანელებმა პაულიუსში გაცვლა შესოაგაზეს პატრონს. ფელ-  
დმარშლებს ჯარისკაცებზე არ ცვლიო, განაცხადა მამიშ და შთამომავ-  
ლობას დაუტოვა ეს მაქსიმა. პაულიუს, შვილზე რომ არ ცვლიდა,  
ძალით ჩამოყავნეს ვერმანიდან და მაღვევე სამშობლოში დააბრუნეს,  
უანგარისათ, ვინ იტყვის, მაგრამ დააბრუნეს უბედური იაშა, საიდან  
სად წასული, სხვის მიწაში დარჩა.

შავი ვარდი სალბათ ხელოვნური /მიუგდომ საწოლი თახის თუ  
კაბინეტის ქართან მეორე ცოლმა ნადევდა ალილუევამ და მიიჭიდა  
ტჟირა გულში. სტალინ გააშტერა ამ თვითმკვლელობამ, ეს აქტი  
ღილაკტად, ერთ მომენტში თავისი გარიერის დასასრულიად ჩითვალი.

ეს დღის შემდეგ გაბოროტდათ, ქალიშვილმა სცეტლანძმ დაწერდა კულტურული და სამართლის მიერ გამოყენების შესახებ. პირველის სიკვდილმა გული გაუძვავა, მეორისამ გააბოროტა. კიდევ კარგი, მესამე ცოლი აღარ ეყოლა, თორებ შედევის წარმოდგენაც გაჭირდულდა. პირველი ორი კი ნამდვილად უკარდათ. სიყვარულის ნიადაგზე გაწირა ალბათ ცოლისმა ილიოშა სცენის, არმლის სახელითაც შეიძლებოდა ეიმაყნა კიდეც ნერვებდალაგებულ იდამიანს. ცოლისმას მიყყოლა მოყვრები მეორე ცოლისა, — რძლები, სიძლები, სხვები.

დედის დაკრძალვაზე ორ ჩამოვიდა. მისი 1937 მდინარებლა და ორ ჩამოვიდა, ონ ვერ ჩამოვიდა, გასავების, მავრამ სამძიმარიც არ მიიღო სუკვდავს მომაკვდავი შშობელი ხომ არ მოუკვდებოდა, მხოლოდ საქართველოში გამოაქვეყნებინა გარდაცვალების ცნობა და ნებროლოვი, თითქოს მარტო საქართველოს მოუკვდა ეკატერინე გელაძე, კაპე.

დღიდ აღმიანს ყველაფერი ეპატიება.  
ყველაფერი ეპატიება ბრძენს, რომლის ხელშეწყობით და თოთ-  
სნობითაც ჩინქეთ გაერთიანდა და საქართველო დაიშალა, დიდ  
ეკონომიკიებად. შედეგს ღლეს კიმით. ბრძენმა თვეის დროზე ყველ-  
აფერი იღონა, რომ მისი სამშობლო „თუნდაც ბელორუსის დარად“  
საბჭოთა კავშირში, ფაქტიურად რესეტში დამოუკიდებელ  
რესპუბლიკიდ არ ჰესულიყო, აქარლები რომ ქართულად ლაპარ-  
აკობდნენ გრძ გაარკვია ერთვნებათა სახკომიდ /სახალხო კომისიად/  
ნიმუშებაც კი.

ბრძენი კი არა — გენომი.

ଶ୍ରେଣୀରେ ଶ୍ରେଣୀମେଲାଙ୍ଗ — ଅନ୍ତିମ ଅନ୍ତିମ ଶ୍ରେଣୀରେ ଶ୍ରେଣୀରେ ପାଇଲାଙ୍କିଥିବା

ძველ რომელთათვის გენია ნიშნავდა მფარველ სულს, ადამიანს  
თან რომ დაჰყობოდა.

ପ୍ରକାଶନ କେନ୍ଦ୍ର

ଲେଖନ୍ତି ହୁଏ କାହାର ପାଇଁ କାହାର ପାଇଁ କାହାର ପାଇଁ

What do you think about the new rules?

Digitized by srujanika@gmail.com

ప్రాంతికు వ్యవసాయాలు - ప్రాంతికు

1. Ekuad. Annals. 1866.

აქედას ნომ არ ძოლის იღიათ ჩვერი ეპოსი! // ჭოთა, — დაეც-  
ინი ოდიოზური პიროვნება.

## აშირანი — არიშანი?

არა პრომეთე, ცუცხლი რომ მოუტანა ადამიანებს. იგი დმიტორებს, ამირანი ქრისტე-ღმერთს ეურჩებოდა. სახელი მისი გაგრილდა საჭუთარ სახელიდ მხოლოდ საქართველოში, საქეთი არ დარჩა, არა მარტო იმიტომ, რომ ქრისტეს დაუწეუ ჭიდაობა.

სხვა? მეფენი. მწინდანები, სარდლებიც?

ბოლომდე გრუ ერთი ვერ გავითავისეთ.

წმინდანები არ ისამეს, მეფენი არ დაისვეს; ოფიციალური, თავ-  
სმოხვეული შეხედულებანი ვერ უარყვეს, მაგრამ....

უნდო, ღიმილიანი თანხმობა და იმას იქით სიცარიელე, აღარ-  
აფერო....

და დარჩათ ბელიდი, გმირი უგმირო ქვეყანაში.

სიცოცხლეში გაღმერთებულს სიკლილის შემდეგ უზომოდ,  
უანგარიშმდ, უსისტემიდ, ვისგანაც არ ეუთვროდა, იმათმა იგინეს და  
უფრო განიდიდეს; თანამემამულეთ პროცესტისა და თავმოყვარეობის  
იმუნიტეტი, გარედან ძეყურებელს ცონბისწილილი გაუძლიერეს.  
თავმოყვარეობის უპრინციპო დამცველი თავმოყვარეობა შელახული  
და ცოტა სასაკილო.

და ჩეგნ ვაძიყობო იმით, ის ჩვენიც, ჩეგნ იქედანა ვართ — საიდანაც  
ისაა. მას მსოფლიო იცნობს. ეს კავალეური სწორია.

რუსებს იმპერია შეუქმნა, მოიგო დიდი ომი ვადაარჩინა ხალხები  
მონაბას, განადგურებისა და ასე შემდეგ. ის ანადგურებდა, ეს ანთავ-  
ისუფლებდა, ანდა პირიქით. ვინ ვის და რისგან ანთავისუფლებდა  
/პირებრისა და მისი თანამზრანგველების ჩათვლით/ კიდევ დასაზუს-  
ტყბელია.

არ დატოვათ მოსკოვი 1941 წლის შემოდგომაზე, როცა გერმ-  
ანელთა დივიზიები მოადგა საბჭოთა იმპერიის დედაქალაქს. მთავ-  
რობამ ქალაქ კუიბიშევს მიაშურა /თითქო თვითნებურიად მოუსლივდა  
ვინმე/ და სტალინი დარჩა მოსკოვში იმედიდ და შეუქრვარსკვლავად.  
ესეც სწორია, მხოლოდ აქ კორექტივებია შესატანი.

1990 წლის ქურნალ „Известия ЦК КПСС“ — №12 ვამოქვეყნდა  
ორი ბრძანება, ორი დოკუმენტი, რომელიც სხვანაირად აშუქებს მოსკ-  
ოვის დაცვის, სტალინის მიერ მოსკოვის არდატოვებისა და მოსკოვ-  
იდან მთავრობის გაქცევის ფაქტს.

1. ბრძანება დათარიღებულია 1941 წლის 15 ოქტომბრით და  
ლავრენტი ბერიისა ი. შეერბაკოვის მისამართთან გაცემული ი.  
სტალინის მიერ:

საზღვარარეგის მისიებმა, უმაღლესმა საბჭომ, პრეზიდიუმმა და  
მთავრობამ დატოვონ მოსკოვი, წერია დოკუმენტში, გადავიდნენ  
კუიბიშევში. გენსტაბი განლაგდეს ქალაქ ირზამაში, მცხავრობა  
უზრუნველმყოს კავანოვიჩმა, დაცვა — ლ. ბერიამ.

1. „Сталин эвакуируется завтра или позднее смотря по  
обстановке“.

შემდეგ:

В случае появления войск противника у ворот Москвы, поручить

НКВД и т. Берии произвести взрыв предприятий складов и учреждений, которые нельзя будет звакуировать, а также все электрооборудование метро (исключая водопровод и канализацию).

2. Марту 1941 года утром в 04:14 по времени 1941 г. 14 октября 1941 года в 04:14 по времени 1941 г. в результате взрыва складов и учреждений, которые нельзя будет звакуировать, а также все электрооборудование метро (исключая водопровод и канализацию).

Указом Президиума Верховного Совета СССР от 15 марта 1941 года "Окружная железная дорога" была объявлена в состоянии войны, и ее персонал был приведен в боевую готовность.

"Приказ немедленно Довести До сведения Войск"... да Свято.

Приказом Народного Комиссара путей сообщения СССР от 15 марта 1941 года "О мерах по обеспечению безопасности движения на железных дорогах в условиях войны" было установлено, что движение поездов на железных дорогах должно быть прекращено в случае опасности для безопасности движения. В соответствии с этим приказом, движение поездов на железных дорогах было прекращено в 04:14 по времени 1941 г. в результате взрыва складов и учреждений, которые нельзя будет звакуировать, а также все электрооборудование метро (исключая водопровод и канализацию).

Согласно приказу Народного Комиссара путей сообщения СССР от 15 марта 1941 года "О мерах по обеспечению безопасности движения на железных дорогах в условиях войны" было установлено, что движение поездов на железных дорогах должно быть прекращено в случае опасности для безопасности движения. В соответствии с этим приказом, движение поездов на железных дорогах было прекращено в 04:14 по времени 1941 г. в результате взрыва складов и учреждений, которые нельзя будет звакуировать, а также все электрооборудование метро (исключая водопровод и канализацию).

Согласно приказу Народного Комиссара путей сообщения СССР от 15 марта 1941 года "О мерах по обеспечению безопасности движения на железных дорогах в условиях войны" было установлено, что движение поездов на железных дорогах должно быть прекращено в случае опасности для безопасности движения. В соответствии с этим приказом, движение поездов на железных дорогах было прекращено в 04:14 по времени 1941 г. в результате взрыва складов и учреждений, которые нельзя будет звакуировать, а также все электрооборудование метро (исключая водопровод и канализацию).

და ეს ფაქტი სულაც არ მოცირებს მთავარსარდლის — სამართლებრივ როლს. მან დაძლია მოულოდნელი თავდასხმის, პირუელი ელდა; ქვეყნისა და ომის მართვის ყველა სადაც დაიჭირს ხელში. მთელი ონის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ომს, ზურგს, სახელმწიფოს — შინ და გარეთ. კოლოსალურ, ერთი ადამიანისაგან შეუძლებელ დატვირთვის გაუძლო, თუ ყველა ლამებს, მასპინძლობდა სარდლებს, სხვებს; უფრო სტუმრებს იძალებდა, მაგრამ სფამდა სასმელი კი არ აჩლუნებდა, ენერგიის მატებდა, ახალ-ახალი იმპულსებით იძუსტებდა.

ჩერჩილმა თქვით, ამყობენ რატომლაც ზოგიერთები, თეირანის თუ იალტის კონფერენციებზე შე და რუსელტს ყოველდღე გეორგიუბლიო. ტყუილი რა საგადრისის მოვაშირეთა მოტყუება; თანაც ომის კოტიკულ მონაცემში, მკრეხელობაა, მაგრამ ვინ ვის ატყუებდა, ეს კიდევ საკითხვაია.

საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებამდე ინგლისი ბერლინს ბომბიაფდა, თუმცა უსაფრთხოების გარინტის ეს ვამოხტოვის არ იძლეოდა. გარდაუგალი, გამანაცვურებელი ომის ზღვირზე იყო მიმდევრი ძელი ლომი, დიდი ბრიტანეთი და უტეური პარტნიორს ატერიკის შეერთებულ შტატებს შეხერებოდა; სანამ პიტლერი საბოლოოდ გაიხდიდა სტალინს პარტნიორად, საჭირო იყო და აუცილებელიც, საომარი თეატრის ღმოსავლეთში, რუსეთში ვალარიან პიტლერის უცნერობით თუ ბედის წყალობით ამის მიაღწიეს.

ენა ჩაუგარდა სტილის, როცა უუკომი ტელეფონით გერმანის თავდასხმა, ომის დაწყება იუწყა. ყურძილშიო, იგონებს უუკომი, მხოლოდ ღრმა სუნთქვის ხმა ისმოდათ მარტო მოულოდნელობისაგან არ გაორნებულ სტალინი. პიტლერზე დიდი წარმოდგენის არსოცეს ყოფილი, ერთხელ ცინდალსაც კი შეადარა, მაგრამ თუ იმნირ სისულეებს ჩიდებდა, არაურით არ ყოფნა. თუ გვიხსენებთ, როგორი მტრუენია გბილები ბატარა ფინეთუკამაც კი, უნდა გვეცულისამა, რომ საბჭოთი, თუნდაც დიდი ბრძენი დგომოდათ სათვაში, თავის დაცვას, მტრის გაცემტევრებაზე არა ლაბარავთ, სხვის დაუხმარებლიდ ვერ შეძლებდა. უაგარილ, ცხადია, არავინ შეეშველებოდა და სტალინი მაშინ მხოლოდ ღრმისაც და ფარგლების შენარჩუნებაზე ოცნებობდა. რა დროს ამზეა ლაბარავია, ხელებს ასაფ-სიავებდა სტალინის „მემორანდუმით“ ვალცებული ჩერჩილი. ბალტიისპირა ქვეყნების ხელახლი ანექსიის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე ტორის დადგების შემდევ ეს დოკუმენტი, რომორც მოსალოდებელი იყო, სტალინს აღარ გახსენებია. ინგლის-ატერიკის კი ნაციონალ-სოციალიზმიც მოსმორებული პუგდა და ინტერნაციონალ-სოციალიზმიც არი კურდღლის მადევირი ერთსაც ვერ დაიჭირს,

მაგრამ თვისი წილი გაიტანეს მინც იმ ომიდან. ის ვერ შეიძლეს, რაც ეს უნდა მიეღოთ, რასაც ელოდნენ, მაგრამ მათ პასურ პოლიტიკას მეტი არ ეჭითენდა. თანაც ერთს რომ ბედი სწყლობს, მეორეს გონება უჩლუნგდება ხოლმე.

რუსთა იმპერია შეუქმნა.

ეს ისწავლეს უურმოკული ცოდნით თავდაჯერებულმა ადამიანებმა. იმპერია ჰქონდა რუსთა, — უფრო ძლიერი და მოხოლოთური, ვიდრე დღესა აქვს, გარდე აქტომბრის გადატრიალების შემდეგ მოიპოვა. დაკარგი და ვერარ დაიბრუნა პოლონეთი, ფინეთი, დანარჩენების ხელახლა შემომტკიცებას დიდი დრო და ენტრია შეალია. იგი ჩრუსეთი მოჩვენებითმა, კულტურული სამეცნიერო დამოკრატიაში დაანგრია, ისევე, როგორც ახლა ინგრევა, მანამდე კი გამომუშავებული ჰქონდა მყარი იმპერიული იმპიცია, რომელიც ხალხთა ყალბმა მევობრობამ /დრუუბამ/, „თანასწორულფლებიანობამ“ შეცვალა. გუბერნიების ძაგივრად შეიქმნა ეთნიურ-გეოგრაფიული სიაფანდი რესპუბლიკები; რუსი გახდა უფროისი ძმა და არა ბატონი. ამიტომ მისი ფსიქიკა, არც მანამდე იყო დაწყობილი, გაორდა, გაიხლის, დაირწვა. რუსული კულტურა რევოლუციამდე, მეცნამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით, რენესანსს განიცდიდა. ყავდათ ელიტარული საზოგადოება, სამხედრო და სამოქალაქო არისტოკრატია. ევროპულ კულტურას კი არ უთანასწორებდნენ, უსწრებდნენ კადეც ლიტერატურით, მუსიკით, ქორეოგრაფიით, ფილოსოფიით. ლენინმა, სტალინმა, სხვამაც, რისაკვირველია /რორი კაცი რას დააკლებდა, მათი ბრიფერისა შეიხერეს; სტალინმა კი, სულ ცოტა, ორმოცდათი წლით დააკონსერვა იგი.

ვლადიმერ სოლოვიოვს ეშინოდა, რომ რუსთა დაკარგავდა „შიდაეროვნულ თვითმყოფადობას“ და დაიღუპებოდა ამის მსგავსი შეხვდა, დაღუპვის ნიშნებმი გამოყარია, მაგრამ არ დაღუბულა. ახლო იგი ინგრევა. ნარევის იოლად გადაიტანს. სულიერი რლევეის კრიზისებიდან უფრო მძიმედ გამოდის ხოლმე.

წესრიგი ჰქონდა. წესრიგი იყო. იყო კი. პირდაპირ ვთქვათ: ჰქონდა! რის ფასიდ, სხვა საკითხია. მტკიცე პატრონის, მტკიცე ხელის გარეშე „თავისუფალ ერთა მძლევ კავშირი“ არ იარსებდადა. ნახირს მწყემსი ჭირდება, საქონელს სადგომი. გაიხნია, რად გადააძლევა იდამზებს, როგორც მიშეგება არ შეიძლება, ისევე — გაპირუტყვებაც. მონა გონებაშე ზღუდულია, გიგი — თავისუფალი. ობივატელმა არ იცის რა არის თავისუფლება, არც უნდა იგი. წესრიგის სიკეთეს მისტირის, თავ-ლაში ყოფის პერსპექტივაზე წარმოდგენა არა აქვს.

მეოთედი — ძალა აღმართს ხნავს, მიზანი მინც მიუღწევდი. მსოფლიო რევოლუცია, ერთი ენა, ერთი ჭკუის ხალხი და კომუნიზმი,

ცოტა ადრე, ცოტა გვიან. ჭერ უნდა გაწითლებულების პლანეტა /თითქოს წითლები ვერ დაერეოდნენ ერთმანეთს/, შემდეგ უნდა დამყარებულიყო ამქვეყნიური სამოთხე...ნერწყვით, ლოზუნგებით, ყალბი თეორიებით შედუღაბებულმა ბაბილონის გოდოლ-ძოდელმა ბელადის სიცოცხლეშივე იწყო რღვევა /იუგოსლავია/; იმპერიალიზმის ჟავე იქ ვაწყდათ, კომუნისტები გვასწვლიდნენ, სადაც სუსტი რგოლი /რუსეთი/ იყოთ. საბჭოთა კავშირმა იქ დაიწყო რღვევა პრიწინი, სადაც ყველაზე დიდი შიში და სიძულვილი იყო ჩათესილი. შედეგს დღემდე იმკიან.

მაგარი იყო იყო, როგორ არ იყო დიდი დიქტატორი, იმპერიატორი.

შიში ხშირად ფსიქიკის რევენის გამოიწვევს და პიროვნების სიმაგრეს წარმოაჩენს და არა სიძლიერეს.

თავადვე დაირქვა ფოლადი. თვემდაბლობით ვერ დაიკვერნდა საკუთარი თავის ნათლია, მაგრამ იყო მაგარი, მომთმენიც, მომლოდინე, ჭიუტი.

მაგარია კიბო, ადრე ჭლექი, ახლა შიდსი და მაინც — კიბო შედარება არც მთლად უპრიანია, ანალოგიადც არ ვარგა, სხვა რამის თქმა გვინდა:

ჩეენ სახადი გვირჩევნია. წითელი ბატონებს ვცემთ პატივს, ბატონებოს ვუმღერით მას. წითელი ბატონები მობრძანებულან. წითელი ყვავილებით, წითელიბილონიანი ყვინჩილით ვევებებით. მოუხეთ, ბატონებო. ის გიკრევთ, ვარდს გიყონივთ, ბატონებო.

წითელი საბანი იყო გადმოფენილი კორტოხზე მდგარი წითელგრძემიტიანი ოლის აიგნის დასტინდაზე. ბატონები იყვნენ დაბრძანებული იმ ხის სახლში.

წითლად ღულად ხეთა სიმწვანეში დალიანდაგებული საბანი. ვაშლის თეთრი ყვავილების ფურცლები გაძქონდა ფუტკის ზეზუნს მდელოში.

დ იწვა ბიჭუნა გახურებული შუბლით, დიდი, პრიალი თვალებით წითელ შალითას ქვეშ. მოუხეთ ბატონებო სიცხიან ბიჭუნს; მის ერთ ცრემლად, ერთ გულისჩამწყვეტ ამოხვრად არ ლირს მოელი ქვეშის პოლიტიკა.

1935 წლის 7 აპრილს სტალინმა ხელი მოიწერა დადგენილებას მოზარდოთ სასჯელის — დახვრეტის ჩათვლით — გაძლიერების თაობაზე. თხუთმეტი წლიდან და ზევით უნდოდათ სასჯელის უმაღლესი ზომის შეფარდება. „უნდოდა გრძელებონშია“, დოკუმენტურად არ დასტურდება, თექვსმეტი წლის ყმაწვილის დაბადების დღეზე წესრულდა და გაყვანეს/ დახვრეტა კა პოლიტიკური მოტივით ფაქტია. ამის შემდეგ წაიკითხავთ.

ომის პირველსაც წელს გამოსულ ყბადალებულ ბრძანებაში გარკვევით წერია: განადგურდეს, საკუთარ ჯარისკაცებზეა ლაბარაკი, პანიკორები და მშიშრები. ომში გარეცილი ახლადწევრ შეღერილი, მფრითხალი ყმაწვილები მშიშრებად გამოიყურებოდნენ, მტერს გადარჩენილნი ზოგიერთები თავისიანთა ტყვების ზარაგი ხდებოდნენ და „უგზოუგზოდ“ დაკარგულთა სიებში ჩაწერილნი შივ ქალადებად ბრუნდებოდნენ შინ.

1934 წლის პირველი ნოემბრის დადგენილება:

„... არ შეაჩერონ სასჯელის უმაღლესი ზომის /დახვრეტის/ სისრულეში მოყვან, რაღაც ცაკი ჰუამდგომლობებს პატივების შესახებ განსახილებით არ იღებს; შინაგან საქმეთა სახილხო კომისარიატის ორგანოებმა განაჩენები სასჯელის უმაღლესი ზომის შესახებ მოყვანონ სისრულეში დაუყოვნებლივ, განაჩენის გამოტანისთანავე ისთანავე....“

და ეს კანონი მოქმედებდა გამოქვეყნების დღიდან სოციმპერიაში. იქტირდნენ და ხვრეტდნენ იმ ღრუბლის შემდეგ განაჩენის გამოტანისთანავე თუ დილა იყო, მზის ჩასვლამდე, თუ მზეს მოასწრებდა ჩასვლის, მზის ამოსვლამდე უბრძელებდნენ მზეს და სინათლეს ღეთის გაჩენილთ. რაზე ხვრეტდნენ კი არა, რაზე იქტირდნენ და ასამართლებდნენ, იმასც ვერ ხვდებოდა უმრავლესობა. იქტირდნენ, ასახლებდნენ, ხვრეტდნენ გამოხშირების შეთთავით, „დილი საცრის“ პრიცციპით; პატიმრებდნენ არასიმელოდ მიჩნეულ მოქალაქეებს, ეჭვმიტანილებს, პოტენციურ მომიგოლში რომ მიიტანდნენ ეჭვს ეჭვმიტანილებს; იქტირდნენ და ასახლებდნენ სამხედროების, პარტიული, სამეცნიერო მუშაკების ცოლებს, შვილებს, ოქაგრძნენ შიშს, ძრწოლვის.

და ის ხოცავდა ხალხს, ანაღურებდა ოჯახებს, ხვრეტდა ადამიანებს, რომელთათვის არც სიცოცხლე მიუნივებია, არც სულიერება, არც რწმენა იქტირებით ცხოვრებისა. იმდენი მიღიონი ვაუბედურა მან, იმდენი მიღიონი გაასახლა, დახვრიტი მან. ეს ბრძოს არ აწუხებს, ამ ტრაგედიიდან /გერიათარ ტრაგედიას აქ ერ ხედავს/ ლოგიკური დასკვნა არ გამოქვებს, მხვრეტელს თანაუგრძნებს და არა დახვრეტილთ. ეს ნახვრადგანათლებული ადამიანები ფარულ სიმოწვევებასაც კი განიცდიან ამის გახსენებაზე. კიდევ მეტი უნდა დაეწვრიტო, კიდევ მეტი, მეტი, მეტი! ობივატელს სხვისი ჭირი და სატკიფარი, სხვისი სიცოცხლის ხელყოფა არ ეხება. სხვა, სხვა უნდა დანვრიტო, უფრო მეტი, კიდევ მეტი, მეტი! ტრიადებდა ხორცასაგეპი იზრდებოდა აფტორიტეტი ტელადისა. შიში შეეჭმს სიცორულსაო, ეს უკვდავი სტრიქონიც კი გახუნდა, ცხოვლურმა შიშმა მასიური ეს „სიცარულის“ ფსიქოზი წარმოშვა. დედამამადახვრეტილებიც მის საღიძეებელს მმობდნენ ყოველგვარი თვალთმაქცობის გარეშე.

ობოლო, ვის მოკლავ /სხვა ზმნასაც ხმიარობენ ამ აღაგის/ ვინც  
გამზარდა. მაშინდელ ვითარებას და დღევანდელობასაც კულტურული  
მოტანილი სახეცვლილებით მიესადავება ის ანდაზი: ობოლო, ვის  
აქებ? ვინც დამძობლა.

სწორედ იმ დროს, იმ ხვრეტებისას საბჭოთას დედაქალაქის  
სახელის შეცვლის იდეა წამოაყენეს: 1937 წელს კომუნისტური  
პარტიის ფრერანდა, ვინმე ზაიცევმა წერილი გაუგზვნა ექოვს წერ-  
ილი დაცულია: “Таким Сталин является историческим даром человечеству, что  
путеводной звездой на путих развития и процветания выступает ступень. По этому я глубоко  
убежден в том, что все честолюбие земного мира нашей эпохи и все человечество вошли  
будущих веков с уюльеворением и решено воспримет переименование Москвы в  
Сталинград”.

ანალოგიური უსტარი დაწერა და მიართვა ექოვს /გაუგებარია,  
რატომ უგზავნილენ ამ წერილებს მაინცდმანც ეყოვს/ მისკოველმა  
პენსიონერმა ე.ფ. ჩუმაკოვმა. ხმებმა მოსკოვის სტალინგრადი ვად-  
ეკოთების თაობაზე XVII ყრილობის დელევატების კურამდეც მიაღწია.  
სტალინმა გვიან გაიგო და ამ პატივზე კატეგორიული უარი  
ვანაცხადათ. ცხადია, ისე იზამდა და თუ ეს აქცია თავად მისგან ან  
მისი შტაბის წევრთაგან არ იყო გამოვდებული, გაბრაზდებოდა კიდევ-

1934 წლის პირველ დეკემბერს ლენინგრადში, სმოლნში მოკლეს  
სერგი კიროვი /კოსტრიგოვი/, „გამოჩენილი პარტიული შოღაწევ“. იმ  
ბენელით მოცულ ტერაქტს ელოდენენ თუ არა, ახლა ძნელი სათქმელია,  
მავრამ იმ დღიდან, ლენინგრადიდანვე დაიწყო დაბატიმრებანი,  
გასახლებები, ხერეტები, /ყოფილი თეთრგვარდილებისა, სხვებისა და  
სხვების/. ამ პროცესში ვადმოხიცვლა მოსკოვში /მოსკოვის ცენტრის  
საქმე/ და კრემლში /კრემლის საქმე/. ხელახლი დაბატიმრებულის უკვე  
დაბატიმრებული და მსჯავრდადებული ლ.ბ. კამენევი /როჭენფელი/,  
ძამ მისი, რაბილი სომხის ასული, მოყვინებით — მიშვილი. ლ.ბ. კა-  
მენევს, ადრე დაკითხული გ.ე. ზინოვიევის სიმდიბლურ ჩევნებასაც,  
ბრძლიად დასდევს სტალინის მკლელობის სურვილი და მიუხსეს ათი  
წელი /ხუთი, ათი, შემდეგ დახვერეტი/. ნადევდა ალილუევის თვითმკვ-  
ლელობასთან დაკავშირებულ ჭორებს და პოლიტიკურ ანგაღორებს  
გადაყოოლეს იტელ ენუქიძე, კრემლის ბიბლიოთეკის თანამშრომლები,  
დამლაცებლებიც, ცოცხით და „ველროოთ“ რომ მოჰყავდათ  
დაკითხვაზე. ძავები წავიდა გასახლებულ ტროცკამდე, მსჯავრდებულ  
ზინოვიევამდე, — ჩველიამდე, საბჭოთა იმპერიის ყველა მოქილაქემდე,  
ყველანი ეჭვისა და ძიების ქვეშ დადგა. იწყებოდა დიდი ტერორი.

სტალინს უკვე ხელი ჰქონდა ზემოომოტანილი, კიროვის მკლ-  
ელობამდე გამოქვეყნებული, 1934 წლის ნოემბრის დადგენილება  
სიკვდილმისჭილთა შეუწყინებლობის თაობაზე და ხელფეხებსნილმა

დღიწყი ფარული, ნახერადლეგალური ოპოზიციონერების, არასასურელი და სხვაგარად მოზროვნე პირების, მოვაინებით თავისი-ანების განადგურება. დიდი რეპრესიების /1937-38/ წლებიც ჩამოდგა.

ახალს /არც აქვთ დემოკრატიული და უცილებლად შევიტრებ უურადღებას: ვოტყვი, ერთ გარემოებაზე კი აუცილებლად შევიტრებ უურადღებას:

ექტენდენტ, ამხელდენტ, ავლენდენტ, კიცხავდენტ, ლანდლივდენტ სახელმწიფო სტრუქტურების ყველა რეკლამი, ყველა სევმენტში ხალხის მტრებს, მავრებლებს, ძირგამომთხრელებს, დაქირავებულ დენტებს, ტერორისტებს, სხვებსა და სხვებს, პირდაპირი დანანაშვე, უშუალო შესრულებელი კი არად ჩანდა. უნდოდათ, აპირებდენტ, ცდილობდენტ.

... უნდოდათ სახელმწიფო საბჭოთა კაშირის დამხობა, კაპიტალისტური წყობის აღდგენა, რეკოლუციის მონაბეჭირის მოსპობა, ძირისამოხსრა, დანგრევა, აფეთქება, ტერორი. თვითმკველელები გამოჩნდენტ, მავრებ მტრის მოკლული, აფეთქებული, მოწმოლული, დანგრეული არად ჩანდა, არადა, ხალხის მტრებით გაიგო სახელმწიფო, მკვლელები, ტერორისტები გამრავლდენტ, მოკლული არ იყო. გაპყირობდენტ: აპირებდენტ, უნდოდათ, უნდოდათ!

რა უნდოდათ? პატრიტისა და მთავრობის ლიდერების, ძირითადად პოლიტიკურობის წევრების ფიზიკური განადგურება და უპირველესად კოვლისა სტალინის /უკვე ბელაზის/ მოვალა.

ლენინს მართლაც ესროლეს და კინილმ გააცხებინეს სული მაშინ ვე, სტალინს თმის ლერი არ ჩამოგრძენია თავიდან, თუმცა მის გასიღების აპირებდენტ მირიგალნი, მავანი და მავანი; ნიტრობდენტ, შართალი, მავრებ ვერ აპირებდენტ, გაფიქრებისაც ჟეს უკვე ჩეციმის დამსახურებას ეშინოდათ.

„ჩვენ გვინდოდათ სტალინისა და პარტიის სხვა ბელადების /ყივდათ პატარ-პატარა ბელადებიც/ მოკლა“, — ილიარებდენტ „დამხაშევენი“ და ისმორა: ვკინდოდა, უნდოდათ! კლავდენტ /ჩანარიად და როგორ, არ ჩანას და ვერ კლავდენტ. დაიწყო მასურა ასტროი. იმართებოდა მუშათმრავილი, ხალხმრავალი მიტინგები, კრებები ხალხის მტრების, მავნებლების გამოსავლინებლად. მამა შვილს, შვილი მამას აღებდა ხელს. უნდა განადგურდენტ მაქებლები, ხალხის მტრები, მკვლელები, ცოფიანი ძალები, იძახო ხალხი. „ხალხი და მხოლოდ ხალხი!“ მათ უნდოდათ სტალინის მოკლა. სტალინის წინააღმდეგ სურდათ აღემართთ ბინძური ხელი! ტარდებოდა დახურულ-საჩვენებელი პროცესები ლაკონურიკინაღმ პოეტური /სტალინის ხელშეკრის სახელწოდებით, ტრაფურეტული განაჩენებით, ჩანვების, პიროვნების მნიშვნელობის მიხედვით ხასკვლების (დავგრეტა და კვევით) ჩამორიგებით, ერთიდაივივე, ხალანძლივი სიტყვებით პროტოკოლების

შემკობით და ბოლოს... ტაშით, გაოგნებული სახეები, — ტაში, ფანჯა—  
ამერა აფიქსირებს აზროვნებაპარალიზებულ, განწირულ ჟურნალები  
და შეშინებულ მაყურებელს. აბა რა ეკონათ, მათ სტალინის მოკვლა  
სურდათ.

ბევრმა, მათ შორის ზინოვიევმა, აშკარად იღიარა: ჩვენ გვინდოდა  
სტალინის გადაეცება /ეს მაინც დახვრეტის უდრიდა/, ტერორზე არც  
გვიფიქრია, გულშიც არ ვაგვივლია ამდაგვარი რამო. \*სტალინის  
გადადგომი, თუნდაც თანამდებობის შეცვლა ბევრსაც უფიქრია,  
მონდომებია. ამის გამო სტალინს ჭერ ლენინი უნდა დაეხვრიტა, ანდა  
გამოვდო მავწოლიუმიდან. სურვილი — გადაეცება, გადავდებისა —  
განაჩენისათვისაც არ კმაროდა. ნაცემ-ნაგვემ-ნაწამებთ სასამირ-  
თლოზე პრესისათვის, ხალხის გასავინად უნდა ეთქმათ: ვაინდოდა:  
მოვცელა. ამისათვის სიცოცხლის შენარჩუნების გარანტისა იძლეო-  
დნენ. ზინოვიევმა და კამენევმა პირადად სტალინისაგან მიითხოვეს  
შეწყვლების პირობა. პირადად სტალინისაგან მიიღეს პირობა და  
აღიარებილან და განაჩენილან რამდენიმე საათის შემდეგ მიახვრიტეს  
ორთავე

დროისა და პიროვნების დამახასიათებელი შემთხვევაა, თორებ  
დაკრძალვაზე ჩამოსვლა-არჩამოუსვლელობა სიყვარულის ან სიძულვ-  
ილის, გინდაც გულგრილობის გამოხატულებად შეიძლება არც კი  
გამოდგეს.

ქრისტემ თორმეტ მოციქულს გაანდო მოსალოდნელი ღალატი;  
სიკვდილი და ამიღლება თვისი იწინასწარმეტყველა, ყველა,  
თორმეტივ დაახვრა და ბოლომდე ვერ არწმუნა. იმ კომუნისტური  
ისტერიის თუ მისტერიის დირიქორი კი საკუთარი პალუცინაციური  
ფანტაზიის აბლიბუდაში უნდა ყოფილიყო განვეული, თორებ ამდენს  
ნორმალური ფსიქიკის პიროვნება ვერ მოიხერხებდა, გრუც გამედავდა.  
რას ამაღლიდა ქრიმინალური სამყაროს წარმომადგენლის სახე-იერის  
მქონე ულაბში კავკასიელი 150 მილიონ რუსს, სხვა ხალხებს. ვინ არ  
მოკვლავთ, ის რომ არ მოეკლათ. ვინ არ მომკვდარა, ის რომ არ  
მომკვდარიყო. ცოცხლად არც ენახათ. ლენინის /მუმიის/ ნახვა უფრო  
იოლი იყო, ვიღრე მისი. ლოზუნებით, სიძლერებით, ლექსებით, ფოტ-  
ოსურათებით, სურათებით, სურათებით და სურათებად ცოცხლომდი  
პრბოს წარმოდგენაში.

მომავლის ინტერნაციონალური იდეოლოგია, შიშველი და პრი-  
მიტიული აგიტაცია მასების დამორჩილების საფუძველთა-საფუძველი  
იყო ბოლშევიკებისათვის. იდეების, მომიგალი ბელნიერების იმედის  
იმედით და ხალხის სახელით კეთდებოდა უკველივ. ხალხის სახელით  
მოქმედებდა ბელადი „ხალხის მტრების“ წინააღმდეგ. სამხედრო

ქადაგის წმენდის, ფიზიკურად განაღებურების დრო რომ დადგა, ხოლი ჩატოთ პროცესში. ცეცხლთან თანაბეჭდის უდრიდა ეს მოქმედება; აქტილარეულ, „ბესტრერევის ზღვრამდე“ მისულ პიროვნებას თუ გაუმართლებდა ამ დროს. პროლეტარეული ჯარის ახალი და იხალი უძინის მეთაურები — სამოქალაქო ომების გმირები — იყვნენ რუსი ხალხის საამიყო შეილები. ეს იყო რესერო. ახალი მისი ხერეტის დრო დგებოდა. დაგზავნილი იყო ინსტრუქციები ცენტრებში, პერიფერიულებში. უნდა გამოერევათ მუშები ქარხნებიდან, პარტიულები ბურიაგებიდან, უნდა გაემართათ მიტინგები მოღალატეების, კაპიტალიზმის აგენტების, დიგიტალურების, ფაშისტური ორგანიზაციების წევრი აფიცირების განაღებურების მოთხოვნით. დღედაღამეს ასწორებდა ბელადი, ხელებდაკაპიტებული ედვნენ გვერდით ასისტენტები: ვოროშილოვი, ეკონი, კაგანოვიჩი, სხვები. 4000-მდე მაღალი ჩინის სამხედრო მოსამსახური იქნა რეპრესირებული. მარტო სამხედრო საბჭოს 85 წევრიდან დააპატიმრეს 76. თითქმის გაუსამიროებლად დახვრიტეს 68. ბლიუზერი ძიებაში მოკვდა, გამარნიკა და ლაპინმა თავი მოკლეს. „ანტისაბჭოთა ტროკისტული სამხედრო ორგანიზაციის“ წევრები აღმოჩნდნენ სამხედრო ხელოვნების ცოდნის ჟენიტში მდგარი ახალგაზრდა მეთაურები, — მაღალი ჩინის, როდენმედლებით გაძეხვილი ავტორიტეტული პირები. თითქმის ცველისი, ბუღლონის ჩათვლით, ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა. გაიწირნენ არარუსები, ეპრაელები, რომლებთაც უაშიშმთან თინამშრომლობა (???) დაედოთ პრიალად და ძირითადად — რუსები, მათ შორის, რაც უცნაურია, აბელ ენუქიძე.

საიდან სადაო, წმინდა საბაო, წმინდანი არ ყოფილი, მიგრამ აბელი კი იყო მოყვარე, მათ და პირის შინარება რაჭელების სიძინა. მოყვარე გაიმეტა; გარემო-სიძინის სიახლოებები დალუპა ნაპატიები, ჭიმის, ქეიფის, ქალებისა და მაცეცების მოყვარული კაცი.

თავდაპირველად, როგორც დღე მოვახსენთ, „კუმლი საქმეს“ გადაიყოლეს, გარიცხეს პარტიიდან ასეთი სიძინი. ხელწერაა დამლით: (“За политическое и бытовое расположение”) და მოულოდნებულად სამხედროებს მიატმასენეს. მხედართმთავარებამ ქორქება (OPK) ილიარი: აბელ ენუქიძემ ჩამიახა ანტისაბჭოთა შეთქმულებაშით. ხუმრობას დაემსავა-სებოდა ეს განცხადება, სახუმროდ რომ ყოფილიყო საქმე. თავდა აბელით მშაგაც კარიხანთან (კარიხანიანი) ერთად მოისყიდა უოზეფინა გეზიამ /ებსენმა; დახვრიტეს კარიხანთან ერთად/ 1937 წლის 30 ოქტომბერს. დახვრეტა მიუსაჯეს იმავე წლის 16 დეკემბერს (???) დახვრეტიდან თვე და 17 დღის შემდეგ. საწყალი აბელი, ტიროლა თურმე, რომ გაყავდათ, რატომ, რისთვისო, კითხულობდა ცრემლების



## წმენდით.

აღარ იყვნენ რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცირები, სამოქალაქო ომების გმირები, მხედარობითაგრები: ტუხაჩევსკი, ბლიუზერი, იაკირი, უბორევიჩი, ქორქი, ეიდემანი, ფელძმანი, პრიმაკოვი, პუტნი, სხვები და სხვები ქართველი მეთაურები.

უდანაშაულოდ არავინ არ დასჭირა, განაცხადი გიაჩესლა მოლოტოვმა, ვარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე, როცა სიტყვა სამხედრო კადრების განადგურებაზე ჩამოუგდეს. კორგად ვიცა, მაგათ კორომილოვის გადაყენება უნდოւდოთ. სამავისრო მიზნები მიმოტოვდა, კორომილოვის გადაყენება ნადომდრო. რას იჩამი მოლოტოვი, სკრიაბინი, რომელმაც ვგარად უფრო იმრია, რაშიც ის ხისა იყო, რომ ტყუილიც დაფქრებოდა. სტალინმა ცოლი დაუჭირა, მაგრამ თავი შეანარჩუნა. ლენინმა უკანალი უწოდა. თუკისთაგანი გვახსოვდა, გადავიძომშემეთ და თუები არ აღმოჩნდა. თავის მაგივრად უკანალი აქვთ /ტრაგი არ წერია/ რისთვისც ვიხდით ბოლოშს.

იაკირის ბოლო და უკანასკნელ თავის მართლებას, ახსნა-განმარტებას, თხოვნა-მუდარის სტალინმა ასე წააწერა: **Полицей и проститутка И. Ст. Шершнег და იქვე: Мерзавци, сволочи и блуди -одна кара-смертная казнь. Л. Каганович.** კაგანოვის იყო მეტანე (сапожник) ხელოსნობას რევოლუციონერობა ამზობინა და ვაუმართლი კიდევც; წერა-კოსხე კინალიმ კრიმიში ისწავლა /ჩამამისის ფორტ ისურათი, სამწუხაროდ, არა ვგაქვს!.

1924 წლის 2 სექტემბერს საკავშირო ცეკამ საქართველოში მისობრივი რეპრესიების შეწყვეტა დაადგინა; ოქტომბრის პლენურზე კი რეპრესიების და ხერეტების მთავრო მოქმედ გმირს სერგო ორჯონიშვილს თავის მართლება მოუხდა. ხვრეტებში კი არ ადანაშაულებდნენ, საერთაშორისო რეზონანსის გაუთვალისწინებლობაში სდებდნენ ბრალს. მანც რამდენი დახვრიტეთო, მკაცრად ეკითხებოდა ლევ ტროცკი — რაცი განათლებული, ბეჭითო, ძვლი მხერეტელი და პოზიორი.

რაოდენობაზე ბევრს ყებდომენ, სამიათას-ხუთიათას /3000-5000/ დანვრეტილზე ლიპარაციებენ, სისულელეა, ტყუილია, ცხრასიოთხმოცი 1980/ კაცი დაგხვრიტეთ /ერის რჩეულ, გინსაღნაწილზე იყო საუბარის, არც მეტი არც ნიკლება...

**შემდეგ დაუმატა:**

— ცოტა მეტი მოგივიდა, მაგრამ მა საქმეს იღრიცვერი ეშველება დიდი რეპრესიების შემდეგ სტალინმა უკუკვს აუჩილდა გული: ცოტა მეტი მოუკიდათო, — უთხრი

მომიგიდაო, არ უთქვამს. მე-ს იშვიათად ხმარობდა. თუ მან ცდამანც: სტალინმა თქვა, სტალინი დასასვენებლად გაემგზავრება...

სტალინი მოხსენებას გაადეთებს ამა და ამ რიცხვში, ასე და ამგვარად. ცოტა გადაუმეტებიათ. ერთი-ორი მილიონით, შეიძლება —

მეტო.

საჭირო იყო!

რისთვის იყო საჭირო, კისთვის?

სხვანაირად ვერ შეინარჩუნებდა ძალაუფლებას.

ხომ მაინც ვერ შეინარჩუნა. თან წაიღო! ხომ მაინც მოვდა?

ამიტომ მეტი უნდა დაეხვრიტა. მეტი და მეტი, უფრო მეტი!

საკრაშ გვიან თვრმეტი თუ ცხრამეტი წლისამ დამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. უკანასკნელი მონაცემებით საარქივო წყაროებით / იგი დაბადებულია არა 1879 არამედ — 1878 წელს. ამ ხნის დამლომანტი არც ჰყოლიათ თურმე იმ სასწავლებელში, სადაც საბოლოოდ შეძულდა ღმერთი, ხატი და ადამიანიც. ამ ფაქტს გამოწვლილივით ვასიგრძევნება, გამზოგადება ჰიტლება. რუსეთის სინოდმა, იქაურმა სასულიერო წყობამ; არსებულის კანონიერებას რომ ქადაგებდა, ხალხთა დამონებისა და ჩავრის იდეოლოგიას რომ ამგილდებდა, დააჩქარა რევოლუციები, — რევოლუცია; საკუთარ კედლებში „გამოჭედა“ რევოლუციონერები, სიბნელით ჩათესა სიძულვილი და მიიღო კიდევ სიმაგიერო. სტალინმა კი დიდი რუსეთის ერთ-ერთ იმნაირ სასწავლებელში მიიღო სასულიერო თუ სიერო ვანათლება.

სახლვარგარეთ გაქცეული ცეკვას აპარატის ყოფილი თანამშრომლები მაინც მის გაუნათლებლობაზე, უკულტურობაზე, უურასმომწერელ ქართულ იქცევის ამასხილებენ უურადღებას. ლტერატური, ნ. ურტილანია, სხვაბიც უწიგნურობას სწამებდნენ; შორიდან მაცერალი და არამკითხენი პირიებით, — წიგნიერებას. იყოთ დიდი დანაკითხი ჩამოთვლილიც კია მის მიერ გადაბულებული ისტორიული თუ მხატვრული ნაწარმოებები. ერთნი აზვიადებენ, მეორენი ტყუიას ხოტბას ასხიმენ და ცილსიც სწამებენ, ცხადია. თავად ეთქვა: რაც არ უნდა დაკავებული გიყო, სამასილე ც. ერლი / თუ არაფერი გვეშველება ჩავიკითხავ ხოლმე. გვერდების რაოდენობაც გაზიადებული გვვონია, მაგრამ საკითხია და საწერი / რას კითხულობდა, რას წერდა, სხვა საკითხია / არ დალევია. ტრატის მტკიცება კი — იყი ზარმაცი იყოთ — საერთოდ არ წევეფარდება სინამდვილეს.

ცნობილმა, სიცოცხლეში ნამეტნავად ცნობილმა მწერალმა ა. ი. ფალევეგმა 1956 წლის 13 მაისს მოსკოვთან ახლო, საკუთარ აგარაზე ტყება რომ იყლიგა შეტლზი, სიკვდილამდე არადენიმე საათით ადრე დაწერა: ამათ ხელში სიცოცხლე არად მიღირსო, ამათთვისან იძღრობინდელ ხელისუფლებას გულისხმობდა / სატრაპ სტალინზე მეტი სიაფა მოსალოდნელი, იყი სტალინი განათლებულ მაინც იყო ...



თბილისის რეაგინი მის მიერ და მის მიერ გამონაკლისი. მის გარშემო მოტრიალე პირიულ ელიტაზე, მის გამოზრდილ, შემდგომში ხელისუფლებაში მოსულ კადრებზე განათლებული იყო, — ბევრად განათლებული.

1939 წელს ქრემლში, ყრილობაზე, მიწათმოქმედების კომისარიატს რომ აკრიტიკებდა აარკომვე-ის ნაცვლიდ აარკომვ თქვა. თოთქოს სადგისი გამიყარეს ყურში, ისე მომჭრა სმენა ამ გამოთქმამ, იგორებს ფილოლოგიაში არც მთლიად გათვითცნობიერებულ სამეცნიერო დარგის მუშაკი, ყოფილი სახორცი ვინწე დიმიტრი პავლოვი. ჩემდა გასამუშაბლივო თავიდ ვიაქტსლაგ მოლოტოვის და წერილფეხა გამომსვლელებმაც იგივე გაიმეორეს და მე მომეჩებნაო, ვინწე ბავლოფი ისკვნის, რომ პოლიტბიუროს წევრები და მინისტრები ამ სიტყვის რაღაც ფარულ, ჩემთვის გაუცებარ, მნიშვნელობას ანიცებდნენ. მხოლოდ ორმოცი წლის შემდეგ ჩანაძლე ვერ მოისცენა, ირკვევას მიაგდოია ჭერბარიტების: ერთ-ერთ მოსკოვგარეთა სამთავრობო დასასვენებელ სახლში მეხსიერება უცნარჩუნებულია, თანხმოვდათ წელს მიტანებულმა თუ გადაცილებულმა მოლოტოვის გაუმნილა საიდუმლო.

მაშინ სტალინი შეცდა, სიტყვა ირასწორიდ იმარა, იმნაირადვე მოვიქეცი, შეცდი მეც და ჩემს შემდგომ — სხვებიც, აბა სტალინს შეცდომას ხომ არ გავუსწორებდითო.

ჰქონდა თურმე ბეჭისის ამდაგვარი „შეცდომები“, იმდენი — არა, თანამებროლები რომ რუსულს გადაჩეულდნენ, მაგრამ ჰქონდა, სამაგიიროდ, წერდა გამართული რუსულით, მშრალი, ოდნავ კინცელარული სტილით, მაგრამ გამართულით. სტილი იყო მისი სადა, კონკრეტული, ზედმეტობისაგან თავისუფალი, მიზანშიმართული. თავიდ ტროცის, თავი რომ რესულ ლიტერატორიდ მოჰქონდა, ტექსტები ბროტუკოლები, დადგენილებები! ექვს ნასწორები. მის დროს კი უამრავ ბრძანებებს, ქებისა და რისკვის წერილებს სიტყვა-სიტყვით დარნახობდა თათბირებზე და სხდომებზევე სიტყვით დარწევებულ თანაშემწერებს, რუს გენერლებს, მარშლებს.

პიროვნების, მთავარსარდლის ხელითის წარმოსაჩენად გთავა-ზომი ერთ რიგით ტელევრამა-ბრძანებას დათარილებულს 1941 წლის 17 სექტემბრით:

“Прошу вас честно и в срок выполнять заказы по поставке корицесов для танка КВ. Сейчас я пропу и надеюсь, что вы выполните долг перед родиной. Через несколько дней, если вы окажетесь нарушителями своего долга перед родиной, начну вас громить, как преступников”.

И. Сталин

ექოვს, ჰერ კიდევ ცეკვას მდივანს, გაუსწორა, გადაუკეთა, ადგილები ჩაუმატა სტატიაში „ფრიქიული მუშაობიდან აშკარა კონტრევოლუციამდე“, რომელიც ბროშურად გამოვიდა და დაიგზავნა პერიფერიებშიც პარტიულ რეოლებში დასამუშავებლად და სახელმძღვანელოდ.

აკადემიკოს ლისენციის შრომა, — ვრცელი მოხსენება სანახეგროდ თვითონ დაწერა, თანაავტორობის ყველა უფლება ჰქონდა მოპოვებული, ეს რომ მისთვის აუცილებელი ყოფილიყო. ბურუუაზიული გენეტიკა შეუცვალა რეაქციული გენეტიკით, აქცენტები გადაუადგილა, თუმცა მასაც ისევე გაეგვებოდა ბიოლოგიისა და ჟინეტიკის, როგორც თავად ლისენციის. გამოჩენილი მეცნიერები აღმაცერად უკურნებდნენ ლისენციის, უარუოვით დამოკიდებულებას მის მიმართ არ მაღავდნენ. სტალინი მაინც ხელს აფარებდა, პროფესიან და შარლატინ ლისენციის აღზევებას უწყობდა ხელს; გეისმან-მენდელ-მირგანს და სხვებს, მარქსისტულ-მატერიალისტურ თარგზე და ყაიდაზე ვინც არ იყენენ მოჭრილნი, რეაქციონერებად ასაღებდა. ლისენციის ფორმულას — ყველა მეცნიერება კლასობრივიაო — მიაწერა: ხა, ხა, ხა.... ბევრი იცინა თუ არა, ვერ გეტუვით, მაგრამ ივტორი რომ იდიოტია ჩათვალი იმ მოქანეზე, აშკარად. და მაინც კლასობრიობა, მატერიალისტობა და მარქსიზმი იყო მისი ოფიციალური სამოქმედო და საზროვნო ასპარეზი.

არ წამდა მომავლის მეცნიერების, იგივ გენეტიკის, კიბერნეტიკის, არამარქსისტული თეორიების, თავზირს სცემდა ავანგარდული სელონება, ყოველნირი იზმები მარქსიზმისა და ლენინიზმის გარდა; ჩამორჩებოდა დროს, იმდროინდელ აზროვნებას. არ იშაკვინებდა არატრიადიციულს, არარეალისტურს ხელოვნებაში. ყველაფერი ზეადამიანური, აღმიანის გენის ელგარებით შექმნილი მისთვის იყო უცხო, მიუღებელი, ბურუუაზიული, რეაქციული. სოცრეალიზმის — იგივე პროკრუსტეს — სარეცელზე ჰყავდა გაწვენილი მწერლობა, ზოგს ამოკლებდა, ზოგს წელავდა და მაინც ერთ კალაპოტში ტრვებდა ყველას. როდემდე აპირებდა საკუთარ საწინახელში წწევას, გაუგებარია. როგორც გამდინარე წყალს ვერ გააჩერებ, ვერ შეკუმშაგ, ისე აზრს და მწერლობას. წყალი შეიძლება გაყინო, მაგრამ მშე დაანათებს, გალდვება, აორთქლდება, ცისკენ წავა ან ახალ საცინარებს მოძებნის, ველს, მინდორს, სულიერს და უსულოს დაარწყულებს. „ვინც ფერი მისცა მინცვრის ბალახებს....“

სტალინისაღმი მიძღვნილი ლექსის სტრიქონია. გვასწავლიდნენ, გვაზეპირებინებდნენ;

ვინც ფერი მისცა მინცვრის ბალახებს...

ბალახებს გვალაღებს — თანაა გარითმული. რითმისათვის



დაჭირდა პოეტს თორებ, რომ შეძლებოდა, უკეთესადაც კულტურული რუსთაველის სტრიქონებსაც არ დაიშურებდა:

„ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“.

იტყოდა ლეთის ძალას, უთვალავ ფერთა სამყაროს, უღმერთოს წყალობად მოგვითვლიდა. ბალახთა ფერის მინიჭებელიც უზენაესია, პატარია ამბავი არ გვეგონოთ ეს. ენას ძალი არა იქნება. კალამს წვერი იქნება სამაგიეროდ. იგი კვალს ამჩნევს და ტოვებს. შთამომავლობაც არაფერს ივიწყებს.

ბალახებიც დედამიწის ფერთა შემადგენელია. მზის უთვალავ ფერთა საღებავია.

იმ დროს, როცა ეს ლექსი იწერებოდა, იმ ადამიანს ვისზეც ამნაირი ოდები იქმნებოდა, დაჭერილი ჰყავდა მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი ნიკოლოზ ვაკილოვი, — სელექციონერი, ბოტანიკოსი, გეოგრაფი, გენეტიკოსი, მემცნენარე, თუ გნებავთ, მებალახე. ლისენკოს თაყვანისმცემელმა ომის დროს ციხეში ამოართვა სული ვავილოვს, — გაცს, მეცნიერს, რომელსაც მენდელეევის კვერდით აყენებდნენ თანამედროვენიც კი.

მიჩურინი, კოზლოვი, ლისენკო და მა ყაიდის ვაი-მეცნიერები ჰყავდა პატივში, შიშშიც, რასაცირკვლით და მაინც პატივში, ამ სიტყვის ორნაირი მნიშვნელობით. სიცოცხლის გახინგრძლივების პრობლემებზე ამუშავებდა მეცნიერებს, ინსტიტუტებს, აკადემიკოს ბოგომოლეცს. გერონტოლოგები აიმედებდნენ: იდამიგნი სწორი კვებით /სხვა არაფერი იყო საჭირო/ 130-140 წელს იცოცხლებს. ასორმენტლაინ სიცოცხლის ციკლის იმედიც ჰქონდა სიდიდაც გულის კუნცულში ლეთის უარყოფელს, ჩვეულებრივ მოძაკვდავს.

ხელოვნება /ლიტერატურა, მუსიკა, კინო, თეატრი და სხვა/ უნდა ემსახურებოდეს მასებს, ხალხს, პარტიას, მათ, მას. ეს იყო მთავრი. მხატვრული სიმართლე, სილამაზე, სულის სიფაქიზე — ირმითავარი. უყვარდათ აქტრა, მისი აღზრდა-განვითარების ღონის შესაფერისი უანრი, დერძოდ — კლასიკური აქტრა. ისხდნენ ხანდახან, მისი ხათრით, პოლიტიკუროს წევრები პრემიერაზე ყავვბივით დიდი თეატრის ლოკაში; ნახევარი ნახევარსცენას ხედავდა მხოლოდ. პროკოფიევს ასწავლიდნენ რანაირი აქტრა ჭირდებოდა საბჭოთა ხალხს, — მათ, — მას. დააწერინეს და დადგეს დიდ თეატრში „ამბავი ნამდვილ ადამიანზე“, — ფეხებმოჭრილ მფრინავზე. იწვნენ სცენაზე /პოსპიტალში/ დაჭრილი საბჭოთა ჯრისკაცები და ხელფეხგადაბანდულები მოერთდნენ არიებს საწოლებიდან.

ერთხელ თქვა:

გორგის „სიკვდილი და ქალიშვილი“ კომია გოეთეს „ფასტს“, რადგან სიყვარული ამარცებს სიკვდილს. საინტერესო დაკვირვებაა.

სიკვდილი სიყვარულის თანამგზავრია კლასიკურ ლიტერატურაში. სიყვარული არ კვლება, იგი უკვდავი და მარადიულია თავისითაგად, მაგრამ აქ ამ შემთხვევაში საქმე ცოტა სხვანაირადაა, ფორმულაც მარჯვა და გოვთეს „ფაუსტი“ რომ არ იყოს დაჯაბნებული, ყველაფერი წესზე და რიგზე დარჩებოდა განწყობილი.

გორგის ბინაშვილი 1932 წელს მწერლებთან შეხვედრისას მწერლებს აღმიანის სულის ინუინრები უწოდა. როგორც ძროხას არ უხდება უნაგირი, ისე მწერლებს სულის ინუინრობა, მაგრამ პოლიტიზირებულმა საზოგადოებმა ითაცა ეს მაქსიმი, წალმა-უკულმა ატრიალა და მიივიწყა, რადგან დღემდე მწერლოს მკითხველისათვის არ უგადრებია, თქვენი სულის ინუინრი ვირო. მაქსიმ გორგიმ /შეშქოვთ/ კი სამაგიკოოს მიზღვის მიზნით, სერიოზულად თუ ნახევრადგულწრფელად კოლექტივიზაცია, სტალინის მკვდრადშობილი პირშო, დედამიწის გეოლოგიურ პროცესს შეადარა.

ვლინდიმერ მაიაკოვსკი იყო და დარჩება ჩვენი ეპოქის უდიდეს პოეტიდო, თქვა და ქრისტიანთა და კომუნისტთა მიერ ნაძრის, აკრიბადულ თვითმკვლელობაზე თვალი დახუჭი. პატივს სცემდა და უკავრდა შინაგანად თვითმკვლელები... შურიდა ალბათ კიდეც მათი: — ჰიტლერის, გებელისის, გერინგის, სხვების.

თავის მკვდაროს აუცილებლობით თუა გაძინებული და არა ფსიქ-იური აშლილობით, გაეკაცობაა. იმის დაწყებიდან რომენიმე დღის შემდეგ დეპრესიაშეყრილ ბელიდს უკითხავიდ, გამოუძახებლად წამოადგენენ თავს პოლიტიკუროს წევრები: რუსები, კაგანოვიჩი, ბერია. მკვდრის ფერი დადოოთ, იმათ დანახვაზე რა გაიფიქრა, ვინ იცის. ერთმანეთის ეშინოდათ და ექსტრემისტურ, კრიტიკულ სიტუაციაშიც ვერ შეითქმისოდნენ. ისე კი, ვინ იცოდა. უარესის, გაცილებით უარესის, კატასტროფულის მოლოდინიც ხომ ექნებოდა. შეძლებდა კი მაშინ? ცოლმა და ჰიტლერმა /ცოლმა თავზარიც/ კი დასცა/ შეითქმისონენ ძილიან. ცოლის საქციელი დალატად ჩათვალი, ჰიტლერის თვითლიკვიდაციით გემრიელი ლუგმი გაუკარდა პირიდან. ორგანიზისტებ, კაგანოვიჩმა — მიშაბ და არა ლაზარემ, ლაშევიჩმა, გამარნიერა, ტომსკიმ მისი გასაცემებელი გააკეთეს და კმაყოფილიც დატოვეს. ისინი, მაიცივსკის ჩეთვლით /გორგისაც შეეძლო ისე მოქცეულიყო/ უყვარდნენ, მის გადასაწყვეტ სახათაბალო პრობლემებს თავიადვე წევეტდნენ. თანაც ამ აცვიაში /თუ გახსოვთ, ცოლმა რომ შევი გარდი მიუგდო/ იყო რიღეც მისტიკური, პოეტურიც. სპაზე სხვა დროს.

ყმაშვილგაცურბაში დაწერილი იმის ლექსები შემოგვენხა, — ერთი საქრესტომათოოდ:

„გარდს გაეფურჩქნე კოკორი,

გადახვეოდა იასა” და სხვა

მხოლოდ ძე ვიყავი, ნახევარსარდაფში, კირასთან ერთად. შენი ქვეყნის  
კეთილდღეობას უნდა შეეწირო, ეს შენი მოგალეობაა. ასე გვესმოდა  
მაშინ. მოგალეობებში რომ ბევრი პირიდი მისწრაფება ითრუნება,  
ამაზე აღარ ვფიქრობდით. არც მოვალეობისათვის სურვილების  
შეზღუდვა მიგვაჩინდა რამედ. სიყვარულმა დამსვა ლაუგარდ ცაზე და  
ამ სიყვარულის უარყოფამ დამნარცხა დედამიწაზე. მერე სატ-  
ანასავით ზეცის უარყოფა მომიწია და ურწმუნოსავით მიწაზე  
ხოხიალი. როგორ რგავდა სიკეთის ხეს ჩემში... მორწყვაც არ დაგ-  
აცალე, თორებ რაღაცას მიაღწევდა... მაინც რას?.... მასავით დატაგი  
ვიქნებოდი. შეიძლება სარეცხი ფხვნილისა და საბნეს გასაყიდად ქუჩა-  
ქუჩა მევლო ან უფრო უარესი. ბორის ქვარიანმა ხარისხი დაიცვა და

ଅୟତିରାକ୍ଷିଣୀ ଲାଭ  
ଓ — ମିତିକୁଳା.

ლიადოს ზოგჯერ ტკბილი სიზმრები ათოვდა. ეს კირას შესვედრის მერე იყო. — არასოდეს მიძინტოვო სანატრელო!

ეს რა უცდელურებაა, ფიქრობდა ლადო, კოლი რომ მყის. ორი ხომ არ შეიძლება. მერე ორივეს ტოვებდა და საბაკოდან გაუფორმებლად გადაჰყავდა მანქანა. ეს უნამუსობათ. არ ანებებდა კირა. სიზმარშიც კი კირასთან სიახლოეს ყოფნა უნდოდა, მაგრამ მასთან ყოფნა იმ ანტურაჟის კედლების დამსხვრევის მითხვებით, ირგვლივ რომ ერტყა. ეს კი არ შეეძლო... შიძრილი ილესილი ცელივით დაბიჯებს ხედავ? ლომის შხარბეჭით იმ ტვირთის ზიდგა უნდა გიწევდეს, საშმობლო რომ ჰქვია. შეი კი გართი ეზიდები... თურქეთში — არ ასვენებდა კირა.

გათხნდებოდა და არაფერი იცვლებოდა. ჰელა განაგრძობდა ცხოვრებას ასეული სტანდარტებიდან და დოგმებიდან გამომდინარე. ზოგჯერ სიმუდროვე და გაცლა მოუნდებოდა იმ სამყაროდან, სადაც აქვთ იყო.

ერთ დღეს იმ ადგილის ნახვა მოისურვა, სადაც კირი ცოცხით  
ხელში იხტო. მივიდა, მაგრამ იქ არც ჸალი დახვდა და არც ნაგვის  
გორი.

— ირგვლივ მიმოხედა. იქვე ეზოდან ულვაშებიანი კაცი გამოიღდა.  
— ამ ქუჩის ქალი რომ გვის ხომ არ იცით სად ცხოვრობს? — შეეკითხა  
— საბუთი დამეტებული და მგონი იმის უბოვნია.

— ეზოში შედი. კიბის სამ საფეხურს რომ ავლით, პირდაპირ მისი ოთახია. კორა ძაღლიან პატიოსანი ქალია. იდრე მასწავლებელი იყო რაჭიში. გაჟირვებაზ დღეს ცოცხი დაიჭერინა ხელში. თუ რაიმე იბოვა, აუცილებლად ძოვცემ. ამას წინათ ოქროს ბეჭედი იპოვა და ერთი კირა ეჭიბრა პატიოსანს.

სად მივდიგარ? იგი ხომ კარგი ხინია მიინავლო ჩემს მეტსირებაში. სხვანაირად რომ ყოფილიყო ხომ მოყებნიდი? ვიცოდი მთაში რომ წავიდა სამუშაოდ. მე მომერიდა, რომ არ შევხედროდა. • დაძავიშვლა? არა, არა! ისე რომ იყოს, მისი მოვლენებისას ედების ბაღში რად მფონია თავი და საკუთარი ნებელობა ჰორს წასულ გრძნობას, გრძნობას სანატრელს, რად ემორჩილება? ქიმთა წალიდან მოსული ფიქრები მისევრ რად მიმაქანებენ? ნუთუ ეს გრძნობაა თასეწლეულის მანილზე რომ ასულდგმულებს აღამიანებს?... დიდხანს, ძილიან დიდხანს მიყვარდა მე იგი. მიყვარდა ჩემად, სევდიანად. მერე დაინგრა ის

კვარცხლბეგი ლამაზი ფერის დასმა რომ მსურდა. დაინგრა ჩემი უნდა-  
თობით. მის შემდეგ არც ვოცნებობდი რაღაც ზეამაღლებულზე? უგეგ  
იმ არამაღნაშონი ფულის ბრალია ასლა ჭიბეს რომ მიწვავს? შენი  
სახლი გადაიღეს და ტელევიზით უნდა უჩვენონო — ერთმა მითხრა.  
ტუსილია. ჩემი უხერხებლო და უპრინციპო ტელევიზია იმას ვერ  
გაძელავს ჩემი სახლი ექანზე უჩვენონ....

სულმოუთქმელი მოკიდა ხელი კარის სახელურს. კარი  
დაცეტილი არ იყო. გამოაღო. თითქოს გაუკეირდა სალონური ატმო-  
სფერო რომ არ დახვდა იქ. ოთახში მაგიდა და საწოლი იდგა. კედელზე  
ლაღის სურათი ეკიდა, მოწიფეობისღრინდელი სურათი. ლადო  
გაოგნებული, შუბლზე თვალჩამომდინარე მისხერხებოდა სურათს.  
ნუთუ მთელი ოცდათორმეტი წელი მარტო ჩემი ცხოვრებით იცხოვრა,  
მარტო ჩემზე ფიქრით ულამდებოდა და უთენდებოდა?... ლაღის კვლავ  
სანატრელი წარსული უხმობდა, რომლის დაბრუნება მამაზეციერსაც  
არ შეეძლო. მეორე ძალა კი უას ეწეოდა. იქ შენი იდგილი  
არაა... ლაღი გრძნობდა, რომ მისი გაუხეშებული მერძნობელობა ვერ  
მოახერხებდა დატყვევებული ნეტარი დროის დაბრუნებას. ვერც იმ  
დაცემულ-გაუბედურებულ ქალს დაარწმუნებდა, რომ გალავ უკარდა.  
ის კი არა, ამ ყოფაში მისი ხილვა ქალისათვის შემაძრწუნებლად შეუ-  
რაცხმოველი იქნებოდა. მიხვდა, აქაურობის დატოვება იყო საჭირო,  
ხოლო რაც უფრო მაღა მიატოვებდა აქაურობას, მით უფრო მაღა  
მოიცალებდა იმ ტკბილ-მწირე სევდას, კვეშეცხულად მუდმი თან რომ  
სდევდა.

სასწრაფოდ გამოიხურავს კარებს და იქ ტოვებს პირველ  
სიყვარულს, ჯერაც ჩაუმტრაოს. მერე მანქანაში გულგამოცლილი  
ჩაესვენება.

გარეთ, „წლის დილა“, გაზაფხული მეფობს. მთელი ცარგვალი  
უცხო ფერებით განირაღდნებულია. ცის დასალიერში კი ბამბის ქულ-  
ასავით თეთრ ლრუბელს მთვლემარე ვეფხვის ფორმა მოუღია. ხომ არ  
გაწვიმდება ნეტავით — გაიფიქრებს და მანქანას დაძრავს. ხვალ  
საბაჟოს გვერდის ავლით დიდი ოპერაცია აქვს ჩასატარებელი,  
მინძური ოპერაცია, დოლორების მომტანი ოპერაცია. ჩაღიომიდებს  
ჩართავს.... „დღეს ჩენ გვძარცვავს ჩვენივე, ნაცვლად ხელს რომ  
გვიწვდიდეს, არ ეყოფა ქვეყანას ერთი კაცის სიწმინდე“.... ვიღაძ  
გურამ კლდიაშვილის ლექსს კითხულობს. რაღიომიმღების ღოლაგს  
სხვა ტალღაზე გადართავს.



რომ დატელევო,  
ბრძოლი უკიდურესია მაგ ის მის და  
რომ მატება, სინი არ ავარე  
ბრძოლი მაგ ის და მაგ მატება მაგ ის და

## გიზო ჭელიძე

### უფალო ჩემო!

შენ მე შექმენი, სული ჩამიღვი და გამაჩინე,  
ჰაუ და როდის?  
ახსოვს არავის, თითქმის არავის,  
მაგრამ შენ?  
შენ ხომ კი გახსოვს,  
უფალო ჩემო!

სხალთის ხეობით შემოდი ჩემში,  
ჯავახის მთებით შემოდი ჩემში,  
და მერე მცხეთით დამკვიდრდი ჩემში,  
ჰაუ და როდის?  
ახსოვს არავის, თითქმის არავის,  
მაგრამ შენ?  
შენ ხომ კი გახსოვს,  
უფალო ჩემო!

შენ გამიღიდე,  
შენ გამიღდიდრე,  
სულის სინათლე გულში ჩამიღე,  
ჰაუ და როდის?  
ახსოვს არავის, თითქმის არავის,  
მაგრამ შენ?  
შენ ხომ კი გახსოვს,  
უფალო ჩემო!

შენს საღიღებლად,  
შენს სავედრებლად,  
ქვაში და კლდეში, თიხაზე, ტუგზე  
პევთე და გჟერი, ვეაწრე და ვწერე  
ანბანი ჩემი, ნაკურთხი შენგან,  
ჰაუ და როდის?  
ვინ გაიხსენებს, რამ გაიხსენოს?  
მაგრამ შენ?



შენ ხომ კი გახსოვს,  
უფალო ჩემო!  
მე გადამოგიღე ღვთიურის სიტყვა,  
სიტყვა პირველი,  
„ევანგელიეთ“ უწმობენ რასაც,  
შენთა ბაგეთა ნითქვამი ჩემთვის  
ერს ჩემსას გულში ჩავუგვირისტე,  
პაუ და როდის?  
ახსოვს კი ვისმეს? თითქმის არავის,  
მაგრამ შენ?  
შენ ხომ კი გახსოვს,  
უფალო ჩემო!

ვაშენე ხანძთა, ავაგე ოშკი.  
მიუვალ კლდეში ვავეოვე ქილაქი,  
კლდებზე შენი ვხატე ფრესკები,  
მერე და როდის?  
ახსოვს არავის, არც სურთ ახსოვდეთ,  
მაგრამ შენ?  
შენ ხომ კი გახსოვს,  
უფალო ჩემო!

გამოხდილ ხენი,  
გულსა და სულში სულ შემობრწყინდი,  
და მიკარნახე დიადი წიგნი, საფოვმანები,  
კაცთა ხელთაგან ჯერ ხელთუქმნელი  
და ამით ერთობ  
ამზიდე ცამდე,  
პაც და როდის?  
არ იხსენებენ, ო, ღმერთო ჩემო, არ იხსენებენ,  
მაგრამ შენ?  
შენ ხომ კი გახსოვს,  
უფალო ჩემო!  
  
და თუ კი გახსოვს,  
მოვსულგარ შენთან სახება შენი,  
მუხლმოდრევილი, მოვსულგარ შენთან,  
გთხოვ მომისმინი:  
— გაჩენის ღლიდან ბედი ბედერული  
რომ დამეტედა,  
ეშაგ-სატანა ნაბიჭ-ნაბიჭ

რომ დამედევნა,  
ბრძოლული და ბრძოლულიანი  
რომ მომესია,  
ბართლომეს ღამე ლუსკუმ-ლუსკუმ  
რომ დამიღამდა,  
კარის ცოლვა მხოლოდ ჩემი;  
რომ დატრიალდა,  
ტაძარი, რითაც ხმის გაწვდენდი,  
რომ შემიღუდდა,  
აზრ-საცნაური რომ შემერყა,  
რომ შემიმტკუდდა  
და უარესი უარესთაგან—  
ძმამ, რომ ძმა გასცა,  
ხმილ-სატევარი დაუნდობლად  
გულში რომ ჩასცა  
და სისხლი ჩემი ძევლისძეველი  
ენგურს შეერთო,  
ვის დავაბრალო, რას დავაბრალო,  
თაგა დავაბრალო, სხვას დავაბრალო,  
მითხარ უფალო!

ხმა ჭინაგანი მომძახის ასე:

— დამბადებელს რომ ზურგი აქციე,  
სანთელ-საკმეველს წყალი აქციე,  
სალოცავებს რომ რისხა აყირე,  
ხორცი ამჟყვე, სული დაშრიტე,  
ვისღა მოპერთხავ, ვის დააბრალებ,  
თუ არ თავისთავს, შეილო, ცოდვილო!

ღმერთო დიდო და უზენაესო,  
გამგებ, ყოველთა არსთა გამრიცებ,  
ცოდვილთა შეილი მოქსულვარ შენთან,  
ხელაბყრობილი — ლოცვა-შენდობით:  
„კვაფხვის ბალადას“ ვერვინ გიმლერებს,  
„ლილეს“, „ჩაქრულოს“ ვერვინ ჩამოქრავს  
და „ტრიმბნულსაც“ ვერვინ ჩაახვევს,  
ტრაფობას როკვებად ვერვინ განაცენს,  
ვერვინ აზიდავს ცად ნიკორწმინდას,  
„იაფ-ნანასაც“ ვიგალობს ვერვინ!

პოლა, მიიღე ვედრება ჩემი,



## ଜାରଣା ଶ୍ରୀ ପାଠ୍ୟ ପରୀକ୍ଷା

### ବିଜେନ୍ଦ୍ର ପାଠ୍ୟ ପରୀକ୍ଷା

ବିଜେନ୍ଦ୍ର

ଲ୍ୟାର୍ଭିମିସାଗାନ ନାଚ୍‌ପର୍ଯ୍ୟନ୍ତ ନାଚ୍‌ପର୍ଯ୍ୟନ୍ତ  
 କାନ ଶୁଣିବୁଲୀଳିଲ କେବା ଗାନ୍‌ପିନ୍ଧେବ, ଆଗନ୍ତୁକାଲେବ ଶାଲାମ୍ଭରିଟ,  
 କିମିରିତ୍‌କୁଣିମିରିତ୍‌କୁଣିମିରିତ୍ – ତୀରିନିରିତ୍‌ରିତ୍ ନାନ-ନାନ-ନାନ!  
 କିମିରିତ୍‌କୁଣିମିରିତ୍ ନାନ-ନାନ, ଗାନଦିନ୍ୟ ଗନ୍ଧିଗାନ – ମନ-ମନ-ମନ!  
 ମନ-ମନ-ନାନ ଗା-ତଙ୍ଗାଲ-ତଙ୍ଗାଲେବୀଶ, କେମନାନ ମନଦିନ ଗା-ଗା-ଦାନ;  
 ନିରିତ୍‌ରିତ୍‌ରିତ୍‌ରିତ୍, ତୀରିନିରିତ୍‌ରିତ୍ ଯାତ୍ରି ବେଳଳିଲ ମନିଦାନ;  
 ଶେଷ-ଶେଷାଳ ଦା-ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ  
 ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ;  
 ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ;  
 ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ;  
 ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ;  
 ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ;  
 ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ;  
 ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ;  
 ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ;  
 ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ;  
 ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ;  
 ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ;  
 ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ – ଶେଷ-ଶେଷାଳ;



80 ଫେ ମନ୍ଦିରାଳ୍ପାନ୍ତି

ბეჭნიერება

სადაც ლამბები უნდა შემოტანათ. ჩინს მიღების დრო იყო. ვილა ზღვის გადაჭურებდა. ჩამაგალი მზის შუქე ცა გარდისა და ოქროს ფერებში ლიკლიცებდა. უნაოჭო, მშვიდად მოლივლივე ხმელთაშუა ზღვა ვებერთელა მოირკვებული ლითონის ფირფიტ-სავით ლაპლაპებრია.

შორის, მარჯვნიდ, მიმავალი დღის მიმერქალ მეწამულ ფერზე  
მთების ჟავი პროფესიული გამოსახულობა.

საუბარი სიყვარულზე ჩიმოვარდა, ამ მარიატუნარი, უძველესი  
თემის რჩველივ ცხარე პაქტონბა გამართულიყო კვლავ და გვლავ  
იმეორებდებან ბარებ ათასებრ ნათევებს, მწუხრი საუბრის ტემბს კოდვ  
უფრო ანგელებდა და თანაც მოსაუბრებზე გულისმაჩუქებლიად  
მოქმედდებდა... სიტყვა „სიყვარული“ ხან მაბაკაცის მძლიოვრი ტემბრით,  
ხანაც მანდილოსნის მინაზებული ხმით წარმოთქმული, წარამარა  
გასმოდა. იყი ჩიტივით დანაგარისობდა ამ პატირი სალონში და  
თათქმის ავსებდა კოდეც მას.

— შეიძლება ვიყვარდეს ხანჭრძოვად?

— დიან, დაუინებით ამბობონენ ირლანდ

— არა, ამტკიცებდნენ მეორენი.

ერთმანეთის საბირისპირო ბეჭრი შემთხვევა გაიხსენეს. გრძნობააფორიაქტული და ვნებამორეული გამოიყერებოდნენ, ქალებიც, მამაკაცებიც, იმდენი რამ ვონდებოდათ, ჩამოსათვლელადაც ძნელი იყო. ღრმი გრძნობებითა და ძწველი ინტერესით ბჭობდნენ ამ უზენაეს ვანკულზე—ორი არსების ნაზ, იღუმალ და კავშირებელ ძალაზი.

მაგრამ, უცებ, კელისათვის მოუღონდნელია ერთერთმა მათგანმა, რომელსაც შორს მიეპყრო მზერა, წარმოთქვა:

— თ, იქ, ქვემოთ ხედავთ რაიმეს? თქვენის აზრით, რა უნდა გაისა?

ଶୁଣ୍ଡେଥିବେ, କରନ୍ତିଥିବେବୁନ୍ତିଲେ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା, ଏହି ପ୍ରଦୟ ଯୁଗରୁ ହେ?

ქალები ერთბაშად წამოცვივდნენ აღვილებიდან და გაოცებული შეპყურებდნენ მანამდე მათვის უზილავ სასწაულობრივ სანიჩაობას.

ამ დროს ვიღაცამ წამოიძახა:

— ეს ხომ კორსიფაა! ისეთად იგი წელიწადში იტ-სამჯერ თუ წარმოჩნდება, იშვიათ იტმოსუერულ პირობებში, როცა უჩვეულოდ სუფთა და გამჭვირვალე ჰერის ქვეშ თავის თავს ველარ მალაგა...

მთის ქედებს ძლიერსა გაარჩევდით. ხოლო თოვლიანი მწყვრგ-ალები ადვილად შეიძჩნეოდა. კელაბი გაოგნებული, შეშფოთებული და თითქმის შეშინებულნიც კი იყვნენ ამ იდუმალი სამყიროს, ზღვიდან ამომავალი საოცრების უცაბედი მოვლენით. ვინ იცის, იქნებ იმათაც ასეთივე უცნაური მოჩვენებები გამოეცხადათ, ვინც კოლუმბიგით შეუდგი მოგზაურობას და უსიერი იყეანებები გადალიხა?

და მაშინ, ერთმა ხანში შესულმა მამაკაცმა, რომელიც მანამდე გაჩუმებული იყდა, წამოიწყო:

— დაიცათ! ეს კუნძული, ვფიქრობ, საგანგებოდ იღიმიართა ახლა ჩემს წინ, რათა პისუხი გაგვას კითხვაზე, რომელმაც სიმშევიდე დაგვიარგა... და მეც ერთი მეტად უცნაური ამბავი გამიახსენოს, შესან-იშნავი მაგალითი მარადიული და დაუჭერებლად ბედნიერი სიყვარულისა, რომელიც მე იქ ვნიხე.

ხუთი წლის წინათ კორსიკაში ვიმოვზაურე: მერწმუნეთ, ეს ვალური კუნძული ხვენთვის ბეკრად უფრო უცნობი და შორეულია, ვიღრე ამერიკა. თუმცა, ზოგჯერ ისევე, როგორც დღეს მისი ხილვა ხაფრანგეთის ნაპირებიდანაც არაა ძნელი.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ სამყირო პირველითი ქაოსში? ბობოქარი ქარიშხლისაგან დახვაგებული მთები, ჩაჭრილი ალაგ-ალაგ ვიწრო ხევ-ხევებით, საიდინაც ნიცლვარი მოლრიალებს... არსაით ტრიილი ველი... გრანიტის უზარმაზარი ლოდები და მიწის გიგანტური ზვინულები, რომელიც დაფარულია ბუჩქნარით, ან ნაძვისა და წაბლის მაღალი ტექნიკათ შემოსილი. აქ ყაბირი, უდაბნოსუელი ნიდაგია, ექ-იქ სოფელსაც წააწყდებით, რომელიც შორიდან მთის მწვრეალზე შეგვუფებულ კლდეთი ვროვას უფრო წააგავს. არაფითარი კულტურა, წარმოება ან ხელოვნება, დამუშავებული ხის ერთ ფიცარს და გათლილი ქვის ერთ ნაშერსაც ვერსად იპოვთ. მოკლედ რომ გთქვათ, ისეთს ვერაფერს ნახით, თუნდაც ბავშვურ მიამიტ ან რადევ წინაპართა დახვეწილ გემოვნებაზე რომ მიგვანიშნებდეს შევ-ვნიერი და ნატიფი საგნების მიმართ. ამ უცნაურ ქვეყანაში, სწორედ რომ თაომათა გულგრილობა თვალში საცემი იმ მაცურნებელი გამოისახველობითი ფორმის მიმართ, რომელსაც ხელოვნებას ვუწოდებთ.

ი, იტალიაში კი, ყოველი სასახლე, თავად შედევრი, შედევრებითაა სავსე. აქ ყველაფერი: მარმარილო, ხე, ბრინჯი, ლითონი, ქვა აღამიანის გენიაზე მეტგვლებს. ქველ სახლებში მიმ-

ოფანტულ უმნიშვნელო საგნებაც კი სილამაზისა და გრაცი-ოზულობაზე ზრუნვის დაღი აზის. იტალია წმიდათაწმიდა სამშობლო ყველა ჩენითაგანისათვის, რომელიც ვგიყვარს ძლიერ, რაღაც იყი შემოქმედებითი გონების მთელი ტრიუმფის, მისი სიღიაღის და ძლიე-რების გამოვლენის საშუალებას იძლევა. და მა დროს მის პირდაპირ ველური კორსიკა რომელიც თითქმის ისეთივე დარჩა, დასახამილან რომ იყო იდამინები აქ პირქუშ, მიწურ სახლებში ცხოვრობენ და გულგრილობა დასხემებიათ ყველაფრისაღმი, რაც მათი არსებობისა და ოჯახური კინგლობის მიღმაა. ისინი საკუთარი ლირსებებისა და მანკიერების მატარებელ, ვანუკითარებელ ტომად დარჩნენ. შეუგნებელნი, დაუნდობელნი, სისხლმოწყვრე შურისმაძებლები, ამასთანავე გულდია და სტუმარომოყვარენი, და რაც მთავარია, ერთგულება რომ ხელეწიფვებათ, მათი სახლის კარები ყოველი გამჭლ-ელისათვისაა ღია და მცირეოდენი ყურადღების საფასურალ ნებისმიერს მევობრიბის ხელს თავაზობენ. ასე რომ, მა ერთი თვის მანილზე, როცა აქ დავხეტირობდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ქვეყნის დასალიერში ვიწყოდებოდი, არც სასტუმრო, ან კაბარე, არც ხეირიანი ვზა. აქაური მცხოვრებლები ბილიკბილიკ მიუყვებიან ჭორით საგალ ვზას თავიანთი ქობახებისაკენ, რომლებიც მთის ციკაბო ფერდობზეა განფენილი და ზემოდან გადმოჰყურებს დაკლაკნილ უფასერულს, სიღიანც საღამობით, ნაყიდულის ყრუ რაჭ-ადგი მოისმის. შენ კარებზე აყავუნებ, ითხოვ თავშესაფარს და ერთი დღის სარჩოს. შემდევ მასპინძლოან ერთად იგავებ იღვილს ღარიბულ სუფრასთან და ღარიბულ ჭრეჭვეშ იძინებ; დიღლით კი ხელს ართოვე მასპინძელს, რომელიც სოფლის ბოლომდე მიგაცილებს.

ერთ საღამოს, ათსათიანი ხეტილის შემდეგ მე მივადექი ერთ  
პატარა მიწურს, რომელიც სრულიად განცალკავებით იდგა ვიწრო  
ხეობის სიღრმეში. ზღვიდან ერთ ლიეზე მეტი მანძილით  
დაშორებული. მთის ორი დამრეცი ფერდობი, ტყის ნაყარით დაფა-  
რული, ჩამონგრეული კლდეები და დიდონი ხეები, ბნელი  
დელიუბიერით აღმართონენ ამ ისედაც ჩაუამტბულ დარტაჟს.

ქოხის ორგვლივ რამდენიმე ჯენაბის ნარგავი და პატარა ბალი შევნიშენ, უფრო მოშორებით, ორი-სამი წაბლის ხე, ერთი სიტყვით, სარჩო-საბადელი და ივლიადება ამ უბადრუები მხარისა.

კარგბეთან მცირები შესახედაობის, აქაურებისაგან გამორჩევით ფაქტზე მოხუცი ქალი გამომეგებდა. კაცი, რომელიც ჩალის სკაშე იჭდა, ჩემს მისაღმებაზე წამოდგა და შეძლე ენაურთმელად ისევ დაჭდა.

— შეუნდეთ, იგი ყრუა. თანაც 82 წლისა.

ქალბატონი წმინდა ფრანგულით ლიპარიკობდა. მე გაოცებული დავტენი.

ვეკითხები:

- თქვენ აქაური არა ხართ?
- არა, ჩვენ კონტინენტიდან ვართ, მაგრამ უკვე ორმოცდათი წელია, რაც აქ ვცხოვრობთ.

ამის გაგონებაზე ტანში ურუანტელმა დამიარა და გულზე ლადა ჩამომაწყა. ჩემთვის იმის წარმოდგენც კი შეზრავი იყო, თუ როგორ შეეძლო ადამის მოდგმას ამ ბნელ სორიში, ასე დაშორებულს სამყაროსა და ცივილიზაციისაგან, მთელი ნახევარი საუკუნე გაეტარებინა. ამასამაში მოხუცი მწევმისც შემოვიდა; ჩვენ მივუსხედით მაგიდას და კარტოფილის, სალათისა და კომბოსტოსაგან დამზადებულ სუფს შევეძეცით.

როცა იმ ხანძოელ სადილსაც მოფრინით, მე კარებთან ჩამოვჭექი. ამ ულიმღამო პერზის უურებამ კადვე უფრო დამიმდიმა გული და უცბად იყეთი, ენით თერჯერელი სევდა შემომაწყა, რომელიც ეუფლებათ ხოლმე მოგზაურებს, რომელიმე მოწყენილ საღამოს ან კადვე უცკრიელი იდგილების ხილვისას. ასეთ წუთებში ისიც კი გეჩენება, რომ საღაცა წერტილი დაესმება შეს საკუთარ და თვით სამყაროს არსებობასაც. მოულოდნელი თვალშინ წარმოგიდევბა ამაობა და არარაობა ამა ცხოვრებისა და ყველაფრისა იმ ქვეყნად, ყველასაგან განდგომა და შავბენელი სიმარტოვე გულისა, რომელიც ა, რა რიგ ცდება, თავისთავზე დაყვაფებითა და ილუზიებით რომ ვააქვთ თავი სიცოცხლის ბოლომდე.

მოხუცი ქალი მომიახლოვდა. მას, ცხადია, მოსუნების არ აძლევდა ცხობისხოუვარეობა, რომელიც თვით ყველაზე მორჩილი სულის სილრმეშიც ასე ძალუმადა დაესვეაფგმული.

— მაში, თქვენ საფრანგეთიდან მოდიხართ, არა? — ვფიქრობ, პარიზელი უნდა იყოთ!

— არა, მე ნანსილან ვარ

ამ სიტყვების მოსმენაზე დისახლისი რაღაც, ჩემთვის გამოუცნობამ გრძნობამ აიტაცა — მე დავინახე, თუ ვაკ ჩერი ეს, დანამდვილებით ვერ გეტყვით.

მან წყნარი ხმით დასძინა:

— მაშასაღამე, თქვენ ნანსილან ხართ!

კარებში ოჯახის უფროსი გამოჩნდა უხალისო და მოღუნებული, როგორიც არიან უმეტესად სმენადაქვეითებულები.

ქალბატონმა განავრძო:

— ნუ მიაქცევთ უურადღებას. მას სრულიად არ ესმის.

რამდენიმე წერის შემდეგ დალაგ მეკითხება:

— თქვენ იცნობთ ნანსის მცხოვრებლებს?

— ასაკვირველია, ყველა ოჯახს თითქმის.

- სენტ-ალუზის ოჯახი ხომ არ გეცნობიათ?
- როგორ არა, ძალანაც კარგად. ისინი მამაჩემის შეგონრება იყვნენ.

— თქვენ რა გქვით?

მე დაგასახელე ჩემი გვარი. ქალბატონი ყურიღლებით ჩამაცერდა. შემდეგ, ათასნაირ მოგონებებს ჩომ ღლვისტივს ხოლმე ისეთი, გულშა ჩამწვდომი დაბალი ხმით წარმოთქვა.

დიახ, დიახ. კარგად მახსოვეს, ბრიზმარებს ხომ არ იცით, რა ბედი ეწვიათ?

— კელახი გარდაიცვალნენ.

— სირმონები? მათაც ხომ არ იცნობდით?

— კი ვიცნობდი. მათ შორის უკინისენელია ცოცხლებს შორის, ამჟამად გენერალი.

მაშინ, მას ძღველვარებისაგან აკანკალებულს, არ შემიძლია გადმოგცეთ, რომელმა ყოვლისშემძლე და წმინდა, გაძოუცნობმა გრძნობამ აიძულა ეთქმა ყველაფერი, რაც ღლებდე მისი გულის სიღრმეში იმარხებოდა, ემბრა იმათზე, ვისი სიხელის ხსენებაც მისი სულის მშეფოთვარებას იწვევდა.

— დიახ, ვინც თქვენ ახლა მოიხსენიეთ, ჰენრი დე სირმონი გახდავთ, კარგად ვიცნობდი, რა თქმა უნდა. იგი ხომ ჩემი ძმა.

მე მოულოდნელობისაგან გიგებულდი. შემდევ თვალები აგაზილე და მას დავაცერდი. უმაღლ ღრმა და შორეულ მოგონებებში ჩაგიძინებული იყო.

ეს კარგა დიდი ხნის წინ მოხდა. მანავს ლოტარინგის მაღალ წრებში დიდი სკანდალი რომ გამოიწვია. მდიდარი და ლამაზი ახალგაზრდა ქალიშვილი ჰესართ პოლკის უნტერ-ოფიცერმა გაიტაცა, იმ პოლკისამ, სადაც ქალის მამი მეთაური გახდიდათ. ჯარისკაცი, რომელმაც თავისი პოლკონაივის ქალიშვილი იცოდა, ლამაზი ახალგაზრდა ყმიწვილი იყო ვღების აჭაპილა, მას მეტად მოხდენილი ადგა ცისფერი ქურთული. ეს მან მოინტლი თვეის უფროსის ქალიშვილი. იმ უკანისენელმა ესევილილის ჩაღლისას წენიშნა ივი, მოიწონა და შეიყვარა. მეგრომ, როგორ ახერხებდნენ ერთმანეთთან შეხვედრისა და გამობასებდას, ან საერთოდ, როგორ გაუმნილო ახალგაზრდი გოგონამ პირველმა თავისი ვულის ხეაშიადი, ეს არის თავის არაფის გიუგია ვერივინ შენიშნე და არც არანირი წინათვრმნობა პქონია ვინძეს. ერთ საღამოს, როგორც კი ჯარისკაცი სავალდებულო სამსახური მოიხდა, იგი პოლკის მეთაურის ქალიშვილთან ერთად გაუჩინარდა. მეგრომ ექვებს, მაგრამ ამაოდ ვერც წემდგომში ვერაფერი შეიტყვეს, მერე და მერე კი მთ ცოცხლებშიც აღარ თვლილნენ.

პო, მე კი, აქ, იმ იგბედით ხეობაში ვიპოვე ის.

მე განდაგრძე:

— გამაბასენდა, თქვენ მადმუაზელ სუზანა არა ხართ?

დიასახლისძი დასტურის ნიშანდ თვი დამიქნია, ცოდნული დაბა-  
ლუბით ჩამოსდომით სახე ჰქონდა შემდეგ თვალით ქონის ზღრუბლზე  
მჯდომარე იმ დაკრძომილ მოხუცზე მინიჭნა:

— ეს არის ის.

და მე ვიგრძენი, რომ მას მუდამყამის უყვარდა იჯი და აზლაც  
მოვალეობული თვალებით შესცემოდა.

მე ჩემდაუწესებულად წევკითხე:

— ქალატონი სუზანა, თუ იყვნოთ მინც ბედნიერი მის ჩელში, ჲა?

— რა თქმა უნდა ვიყავი. ძალიან, ძალიან ბედნიერი. მან მართლ-  
აც მომანიჭა შემძირილი ბედნიერება. მე არასოდეს მინანია ჩემი  
საკციოლი.

მე მის გულდალონებული და განცვიცერებული ვუპერეტდი.  
თურმე რა შეძლებია სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალისა! ამ ძლილარმა  
ქალიშვილმა გლეხის წვილი ირჩია ცხოვრების თანამგზავრად და თვი-  
ოთხაც გლეხის ქალიდ იქცა. უარყო მომხიბლელი ცხოვრება, სიმდ-  
იდრე, ყოველნაირი ფუფუნება, ქედი მოუხარა და გაითავისა  
რარიბული ცხოვრების ყველი წესი და უხეშ, სოფლელ დედაკაცს  
დაიმსგავსა თვეზე ჩაჩითა და ტილოს ქვედა წელით. იგი ჭდებოდა  
უბრალო ჩალის სკამზე, უბრილო თიხის ჯამიდან მიირთმევდა  
კომბისტოს, კარტოფილსა და ქმნებ დამზადებულ კერძს, ეძნია  
ჩალის ლეიბზე იმის გვერდით და სხვა სიფიქრალი არა ჰქონია,  
მხოლოდ ის იყო მისი ზმანება, არც არასოდეს დაწყვეტია გული, რომ  
ძირდვისი სამეცნიერები არ გააჩნდა და არც ძირდვისი კაბები ემოსა, და  
ამ ჰქონდა სასიმოვნო სურნელებით გაუღენთილი მოფარდაგული  
დარჩაზები, რბილი სავარძლები და ღაფუქა ბუმბულის ლეიბის სეწ-  
ოლი, სიდაც შენს ნებაზე შეგიძლია ჩაესვენ. არა, მის მხოლოდ ის  
სურდა მის გვერდით ჰყოლოდა, სხვა სურვილი არცა ჰქონია. მან,  
სრულიად ახილებული და მის გველიფერი იყო მისთვის, რაზეც  
შეგიძლია იოცნებო, რომელსაც შეგიძლია სულ უსმინო, რომელზეც  
მეცირებ მთელ შენს იმედებს უსასრულოდ. ამ გაცმა მისი ცხოვრება  
ადგი ის უყვარდა და მოვიდა ექ, ამ ველურ დაგილის სრულიად  
მარტო მცითან ერთად და ის ყველაფერი იყო მისთვის, რაზეც  
შეგიძლია იოცნებო, რომელსაც შეგიძლია სულ უსმინო, რომელზეც  
მეცირებ მთელ შენს იმედებს უსასრულოდ. ამ გაცმა მისი ცხოვრება  
ადგი ერთი კიდიდან მეორე გადამდე. ის უფრო ბედნიერი ვერ  
აქნებოდა.

ჰორა, ქალბატონიც ღირიბულ სარცელზე, ყოველ ღამე ისმენს  
ხროტინს მოხუცი ჯარისკაცისას, ჯაცისას, ვისაც ქვეყნის დასასრულ-  
ად გამოპყვა. ფიქრმა ამ სრულყოფილ ბედნიერებაზე, რომელიც ასე  
რცირებით შეიქმნა, მე უსასრულოდ ამიტოცა.



მოხრობელი გაისუმდა. ერთ-ერთმა ქილმა წამოიძახა: არ კორცება — ეს სულეირთია, ამ ქალბატონს, როგორც ჩანს, ძლიშვი შარტიის იდეალები, მდაბიური მოთხოვნილებები და შეზღუდული სურვილები ჰქონია.

ମେଲାର୍କୁ କୁଳମା, ପ୍ରୟନାରୀ କେତୀତ ଦେଖି ମିଳଗଲା:

— რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ ის ბედნიერი იყო.

იქ, ქვემოთ, პორიზონტის სიღრმეში, კორსიკა ნელ-ნელა  
ეშვებოდა დამეულ წყალიადში და თავის უზარმაზარ აჩრდილს  
თანდათან შლიდა და კვლავ უბრუნდებოდა ზღვას, საიდანაც თითქოს  
იმიტომ წარმოჩნდა, რომ მოკლდეთათვის მოეთხრო ამბავი იმ  
უბრალო შეყვარებული წყვილისა, რომელიც მის ნაპირებზე აფარებდა  
თავს.

ფრანგულიდან თარგმნა  
ნანა იხალაძემ



# კრიტიკა, პუბლიცისტიკა

თეომურაშ კომახიძე

## ქალაქ ბათუმის განათლების ისტორიის საკითხები

1877 წლის 12 აბრილს დაწყო რუსეთ-ოურქეთის ომი. ქართველი მამულიშვილნი იმ ოში ხედავდნენ „მიტაცებული ქართული მიწებისა და თურქთა უღელქვეშ მოხვედრილ ქართველთა განთავსუფლების გარანტის. ამიტომაც ოში ბევრი ქართველი პატრიოტის სისხლი დაიღვარა.

იმი რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა და 1878 წლის 13 ივნისის ბერლინის კონგრესის ტრიქტატორ აჭარა დაუბრუნდა დედასამშობლო საქართველოს. აჭარაში სმინთა ბატონობა შეცვალა რუსეთის თვითმმართველობის, რომელმაც იჭირაში შემოიღო და დამცვიდრა თვითმმართვის რევიზი, კანონები და წესები.

როდესაც ბათუმი აჭარასთან ერთად დაუბრუნდა დედასამშობლო საქართველოს, ის წარმოადგენდა პატარა სოფელს 3000 /ათასი/ მცხოვრებლით, რომელიც ძირითადად ქოხმახებში ცხოვრობდნენ. ქალაქში იყო რამდენიმე ვიწრო, მოუკირწყლავი ქუჩა, ხლოო მისი შემოგარენი ჭიათურა წარმოადგენდა. ბათუმის კლიმატი ჯენტილონისათვის მაგნი იყო, სადაც მაღარის მძინარებდა. ბათუმის აღმცვლობა დაწყო მისი „პორტო-ფრანკოდ“ გამოცხადების შემდეგ. დაჭაობებული და ქოხმახებიანი ბათუმი სწრაფად იცვლიდა სახეს. 1883 წელს რეზიგზის საშუალებით თბილისა და ბაქოსთან შეერთებამ განპირობა ბათუმში სავაჭრო-საწარმოთა რიცხვის გაზრდა, რომლის პარალელურადაც იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობაც. იმ დროს ქალაქში გამეფებული რელიგიური ფანატიზმი სერიოზულად აბრკოლებდა ქართველთა სულიერ შეფარებას. მაჰმალიან ქართველთა შორის მეტია სუსტი იყო საზოგადოებრივი აქტიურობის ძალა, თავისთვალ მწვავედ იდგა ქართული წერა-კითხვისა და კულტურის აღდგენის საკითხი. ყოველივე ამის დაძლევა აღვილობრივი პროგრესულად მოზროვნე აჭარლების შესაძლებლობებს აღმატებოდა.

ასეთ პირობებში საჭირო იყო მოწინავე ქართველი ინტელიტურული ის აქტიური ქმედება, რამაც არ დააყოვნა და უმოკლეს დოკონში შეთქმილისხმევით განათლებისა და კულტურის იღორძინების საქმეში აჭარაში შეუძლებელი გაკეთდა.

თურქთა ბატონობის პერიოდში აჭარაში, კერძოდ ბათუმში მთლიანიად განაცვურდა განათლებისა და კულტურის აღრინდელი კურები. ქართულმა სკოლებმა შეწყვიტა ფუნქციონირება და მათ მაგისტრად დაფუძნდა თურქული სკოლა-მედრესები, სადაც სწავლა მხოლოდ არაბულ ენაზე მიმდინარეობდა.

შედრესები ძირითადად ისწავლებოდა ლოცვები კურანიდან. მოსწავლეები ლოცვებს იზებირებდნენ, მაგრამ მისი შინაარსისა არაფერი გაეგებოდათ.

ბათუმში სამი მეჩეთი ფუნქციონირებდა, სამივესთან გახსნილი იყო მედრესე. პატარა ქალაქში სამი მედრესეს არსებობა ემსახურებოდა ერთ მიზანს. ქართველს დაევიტყებინა მშობლიური ენა, რაც ერის გადაგვარების საწინდარი იქნებოდა. ცნობილი საზოგადო მოღვაწე პეტრი აბაშიძე გვლისტივილით ამ დროის აჭარის შესახებ წერდა: „მთელი სამი საუკუნის განძვლობაში კულტურული წინმსვლელობის მაგიერ იყი ერთ წერტილზე გაიყინა. მან დაკარგა ძეგლი კულტურის ნაანდერძევი და ჩამორჩა უკინ თავისი თანამომექ ქრისტიან ქართველებს... ხალხმა თავის დედა-ენაზე წერა-კითხვაც კა არ იცის, ეროვნულადაც კა არ არის განვითარებული, სიბერიათა და უმეტრებით მოცული გადაგვარების გზაზეა დამდგარი და დაემსავსა პირველყოფილ ხილს“ (ჰ. აბაშიძე, წერილები, ბათუმი, 1960 წ. გვ. 51-52, 101-103).

მიუხედავად ამისა, აჭარლებმა მინც შეინარჩუნეს მშობლიური ენა, რაშიც შეუფასებელი წელილი მიუძღვის აჭარელ ქოლებს, რომელთა ძალისხმევითაც ოჯახებში მხოლოდ ქართული ენა მძღვანელობდა.

მას შემდევ, რაც ბათუმი დაუბრუნდა საქართველოს, ქართველთა უძირველესი იცნება იყო აჭარაში აელორდინებინათ განათლება და კულტურა, საამისოდ გაეხსნათ ქართული სკოლები, მაგრამ მისი განხორციელება ეკონომიკური ხელმოკლების გამო არც ისე იოლი იყო. ამიტომაც თავდაპირველად ბათუმში გამოჩნდა მხოლოდ რუსული სკოლები, რითაც შეფის მთავრობა ისწრაფოდა ჩაეხშო ნაციონალური კულტურის უფლებარი გამოვლინება და ძალდატანებით გაეტარებინათ გარუსების პოლიტიკა.

ქ. ბათუმში პირველი არათურქული სკოლა თურქების ბატონობის პერიოდში გაიხსნა 1861 წელს, ბერძნულ საზოგადოებრივ საზოგადოებისათვის, სადაც სწავლობდა ორმოცამდე მოსწავლე და ასწავლილა

ერთი მასწავლებელი.

1880 წელს მოქალაქე მიხაილოვმა ქ. ბათუმში დაარსა კურძო რუსული სკოლა.

1881 წელს ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორის კონსტანტინე კომისაროვის ინიციატიფით ქ. ბათუმში გაიხსნა პირველი სახელმწიფო რუსული სკოლა, 1882 წელს კი გაიხსნა ქალთა დაწყებითი სასწავლებელი, სკოლის დირექტორად დაინიშნა დ. ზედვენიქე.

აჭარის მოსახლეობის პროგრესული ნაწილი გამედულად იმროვლი მოძალადეთა პოლიტიკის წინაღმდეგ და მოითხოვდა ქართულის ხიდობებულო სწავლების შემოღების სკოლებში. აჭარის მოსახლეობა ორ ცუცქლშეა იღმოჩენდა: სკოლებში არაბული ენა რუსულმა ენამ შეცვალა. ორადა შშობლიური ქართული ენის შენარჩუნება საფრთხის ქვეშ შეცვოდა. ამიტომაც აჭარის პროგრესულად მოაზროვნებო მამულიშვილები საჯაროდ მოუწოდებდნენ დედასიაშშობლოს დახმარებისათვის. ამის ნათელი მძგალითია 1878 წელს თბილისში აჭარის დელეგაციის პატივსაცემად გამართულ წვეულებაზე, დელეგაციის ხელმძღვანელის ხუსეინ ბეჟანიძის თხოვნა მასპინძლებისადმი: „უფროსი შები ხართ, დაკარგული დაგიბრუნდით, მოვარდეთ და გვიპატრონეთ, ვგაიმეთ და სწავლა-განათლება ჩვენშიც გაავრცელეთ, ერთგულების კი მომავალშიც დაგიმტკიცებთ“.

ამავე წვეულებაზე არანაკლები გულაისმიყუჩებელი სიტყვა წარმოთქენა აჭარელთა დელეგაციის წევრი, აჭარის ერთ-ერთმა ვანმათავისუცლებელმა შერიც ხიმშიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა: „განთლება ეჭირებათ ბატონები, იმათ, ამღენი ახილებაზრდა კაცები ხართ, განათლებულები, წადით, გაიცანით, ზოგიც აქ მოიყვნეთ, შეოღა ვამიართოთ, ასწავლეთ... ამა რა ძმა ხართ, თუ ისევ ამდღებად დატოვებთ“. /გაზ. „დროება“, 1978 №126/.

ამიტომაც ერთ-ერთი მთავარი ამოცანა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გაძლიერებელი საზოგადოებისა“, რომელიც ხელიდ დაირსებული იყო, იმაში მდგრადირეობდა, რომ რაც შეიძლება ძალი გეებსნა სკოლები აჭარაში. ამისთვის დაკავშირებით იღია ჭიგვავისე 1879 წელს აღნიშნავდა: „ეხლა უნდა გაუმართოთ ხელი იმ ხელიდ დაბადებულს საზოგადოების და ვალით დაგვიდოთ, რომ აჭარაში და ქობულეთში რაც შეიძლება მომეტებული შეკლები გამართოს. ეს შეკლები სხვა ყოველს საშუალებაზედ მეტად ხულით და გულით შემოგვიერთებენ აჭარისა და ქობულეთის ერთს და ისევ-ისე მშრალი სიყვარულს ჩამოვდებენ ჩვენში, როგორც უწინ, იმათ თამილოს ხელში ჩავირდის დრომდე ყოფილა“. (ი. ჭიგვავის, თხზულებათა სრული კრებული, ტ.-6, 1927 წ. ვე-56)

თავისი მოწოდება იღიამ აჭარის ვანთავისუფლების მესამე წლის

თავზე საქმედ აქცია. 1881 წელს ბათუმში მცხულმანი ქართველებისათვის გაიხსნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამიჯ-რცელებელი საზოგადოების“ პირველი ქართული სკოლა. ქართული სკოლის განხსნას ბათუმში გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან მიმერიდან ბათუმში მცხოვრებ ქართველთა შეიღების შესაძლებლობა მიეცემოდა მშობლიურ ენაზე მიელოთ პირველდაწყებითი განათლება.

სკოლი გიხსნა დაქირავებულ ბინაში. თავდაპირველად მუსულმანი ქართველები ეჭვის თვალით უყურებდნენ ბაზმების ქართულ სკოლაში შეყვანის საკითხს. სწავლების დასაწყისშივე მუსულმანთა შორის პირველნი ჩარიცხნენ ქართულ სკოლაში აბაშიძეთა გვარის წარმომადგენელნი, რაც მაშინ დიდ რისკთან იყო დაგვშირებული. სკოლაში ჩარიცხული 30 მოსწავლიდან 13 მაპმადიანი სარწმუნოებისა იყო, ამათვან მ-აბაშიძის გვარისა, მათ შორის მემედ აბაშიძე და მისი ბიძაშვილი ხუსეინ აბაშიძის ქალიშვილი ულიკ, რომლის ჩარიცხვამ „გიაურების“ სკოლაში ნებატიური გამოხმაურება გამოიწვია.

1895 წლისათვის აშენდა სკოლის ერთსართულიანი კურს კაპიტალური შენობა, რომელიც 5 ოთხისაგან შედგებოდა.

ბათუმის პირველ ქართულ სკოლის გაუმართლა: თავდაპირველად, სანამ იღია ჭიდვასამე ცოცხალი იყო, სკოლის ყველა მასწავლებელს იყი შეარჩევდა.

ბათუმის პირველი ქართული სკოლის ღვაწლოსილ ბედაგოგთა რიცხვს მიეკუთვნებია: ალექსანდრე ნანეიშვილი, მოსე ნათაძე, მიხეილ შარაშიძე, ალექსანდრე მელაძე, ირაკლი ლომნტი და სხვები, რომელთა სახელები დღესაც დიდი პატივისცემით მოიხსენიება ბათუმში. მათ, იმ ძნელბედობის დროს, გააკეთეს თოთქმის შეუძლებელი საქმე და აქარადში განათლების განვითარების ისტორიაც მათ მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული.

1882 წელს ბათუმში გაიხსნა რუსული ორკლასიანი ქალთა სასწავლებელი, რომლის დამაარსებელი იყო ქუთაისის ოლქის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწერ გენერალ-მაიორი ნიკოლოზ ბიძინას ძე ერისთავი. მოგვიანებით სასწავლებელი მარიამის სახელობის ოთკლასიან სასწავლებლიდა, ხოლო 1898 წელს შეიდან კლასიან ქალთა პროგიმნაზიად გდედაკვეთდა.

ქ. ბათუმში ბერძენი და სომები მოსახლეობის ზრდამ განაპირობა, რომ 1883 წელს გახსნილი ბერძნული საეკლესიო-სამრევლო სკოლა. ხოლო 1887 წელს — გაუებისათვის სომხურ-გრიგორიანული სეკულესიო (სამრევლო) სკოლა. 1898 წელს ქალაქის საბჭოს გამგეობაში 50 მოსწავლისათვის გაიხსნა ქალთა დაწყებითი საქალაქო სკოლა. სადაც სწავლა რუსულ ენაზე მიმღინარეობდა.



1899 წელს ბათუმში გაიხსნა დაწყებითი სწავლების გაუთა ასპლიკაცია სკოლა, რომელსაც ა. ს. პუშკინის დაბილების 100 წლისთვისთვის დაკავშირებით მიენიჭა მისი სახელი. სკოლის გამგედ დაინიშნა ფ. შეკლაძე, მასწავლებლებლად: ნ. მგელაძე, დ. ღლონტი.

1903 წელს ერთდროულად გაიხსნა მეორე ქალთა და მეორე კუთა დაწყებითი სწავლების სკოლები. სკოლის გამგედ დაინიშნა თ. დ. შარიშვილი.

დაწყებითი სკოლები მოსწავლეებს აძლევდა ელემენტარულ განათლებას. თუ რომელიმე მოსწავლე დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას არ გაივრჩეულებდა, მაშინ მას რამდენიმე წლის შემდეგ (თუ ის სკოლის დამთავრების შემდეგ რომელიმე წარმოებაში არ იმუშავებდა მოხელეელ) სკოლიში მიღებული ცოდნიდან არაფრიც იღარ ჩერბოდა. აღნიშნულ სკოლებში მოსწავლეთა ასაკი განსაზღვრული იყო. დაწყებით სკოლებს მიეკუთხებოდნენ, ერთკლასიანი საქალაქო, საკულტო-სამრევლო, ერთკლასიანი რეინიგზის ნორმალური, ორკლასიანი სახელმწიფო, ორკლასიანი საქილაქო, ॥ და ॥ თანრივის კრიზო სასწავლებელი.

ქრონიკის ცხრილი ბათუმის სკოლების ქსელის განვითარებისა შეფის რესეტის პერიოდში/1879-1918 წ.წ/

No	სასწავლო დაწყებულებების დასახელება	დაარსების წელი
1.	ბერძნული საზოგადოებრივი სასწავლებელი არსებობდა 1879 წლიდე	1861
2.	„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამიგრ- ცელებელი საზოგადოების“ სასწავლებელი	1881
3.	ექვსკლასიანი საქალაქო სასწავლებელი	1881
4.	რუსულენოვანი ქალთა ორწლიანი სასწავლე- ბელი, რომელიც შემდგომში გარდაიწნა მარიამის სახელობის სასწავლებლად	1882
5.	ბერძნული საკულტო-სამრევლო სასწავ- ლებელი	1883
6.	ერთკლასიანი კერძო ქალთა სასწავლებელი	1885
7.	ბალივეის კერძო დაწყებითი სასწავლებელი	1888
8.	ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი	1889
9.	სომხურ-კათოლიკური სასწავლებელი	1892
10.	ლებედევის კერძო დაწყებითი სასწავლებელი	1893
11.		

12.	ბათუმის ვაჟთა გიშნაზია	
13.	ერთკლასიანი ქალთა სასწავლებელი	
14.	პუშკინის სახელობის ერთკლასიანი საქალაქო სასწავლებელი	1899
15.	ქალთა გიმნაზია	1900
16.	წულუკიძის კერძო სასწავლებელი	1902
17.	ბერიაის კერძო დაწყებითი სასწავლებელი	1902
18.	უელტუხინის კერძო დაწყებითი	
19.	საქალაქო ერთკლასიანი სასწავლებელი	1903
20.	მეფისოვის კერძო დაწყებითი სასწავლებელი	1903
21.	გოლოლის სახელობის სასწავლებელი	1903
22.	რკინიგზის ნორმალური სასწავლებელი	1907
23.	ქალაქის ერთკლასიანი სასწავლებელი	1908
24.	არხოლდის კერძო პროფესიაზია	1908
25.	ერთკლასიანი ქალაქის სასწავლებელი	1908
26.	ბარცხანის სასწავლებელი	1909

ქ. ბათუმის სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა 1914 წ.

№	სასწავლო დაწესებულებების დასახელება	მოსწ. საერთო რაოდ.
1.	არხოლდის მე-2 თანრიგის კერძო გიმნაზია	68
2.	მუსლიმანთა სასწავლებელი ორთა-ჯიმესთან	45
3.	მარიამის ქალთა პროგიმნაზია	121
4.	საეკლესიო-სამრევლო მართლმადიდებელი სასწ.	137
5.	„ქართველთა შორის წერა-კოორდინაციის გამიგრცელებელი საზოგადოების“ სასწავლებელი	132
6.	სომხურ-გრიგორიანული საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელი	193
7.	სომხურ-კათოლიკური საეკლესიო სამრევლო სასწავლებელი	90
8.	რკინიგზის დაწყებითი სასწავლებელი	90
9.	ბერძნული ორკლასიანი ვაჟთა სასწავლებელი	94
10.	ბერძნული სამრევლო ქალთა სასწავლებელი	135
11.	საზოგადოება „პოლონელთა სახლის“ სკოლა	32
12.	ებრაელთა დაწყებითი სასწავლებელი	75
13.	მღვდელ პუხინიანის კერძო სასწავლებელი	25
14.	ნორდშტეინის მე-3 თანრიგის კერძო სასწავლებელი	35



15.	ლებედევის კერძო სასწავლებელი	32
16.	ალიხანვის კერძო სასწავლებელი	27
17.	ბერძნული საქალაქო დაწყებითი სასწავლებელი	148
18.	პირველი სომხური საქალაქო სასწავლებელი	166
19.	პირველი ქართული საქალაქო დაწყებითი სასწავლებელი	120
20.	აზიზის მეჩეთთან არსებული მუსულმანური სასწავლებელი	—
21.	გოგოლის სახელობის დაწყებითი სასწავლებელი	135
22.	პუშკინის სახელობის დაწყებითი სასწავლებელი	148
23.	მეორე ქართული საქალაქო დაწყებითი სასწავ- ლებელი (აჭარის სახ. ცენტ. არქივი, ფ-6, საქმე №603)	150

აღნიშნული სკოლებიდან სწავლების ხარისხით საურნობლიდ გამოირჩიოდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლა, რომლის პროგრამი დიდი ყურადღებით იყო შედეგნილი. აღნიშნული სკოლის კურსდამთავრებულებს უფლება ეძლეოდათ სწავლა ვაეგრძელებინათ ვიმინაზის პირველ კლასში ეს მიუთოთებდა სკოლის დიდ ავტორიტეტზე. 1920 წლიდან აღნიშნული სკოლა გადავიდა ქალაქის თვითმმართველობის გამგებლობაში.

პუშკინის სახელობის დაწყებით სკოლაში თეორიული სწავლების პარალელურიდ მოსწავლეები ეფულებოდნენ პრაქტიკულ საქმიანობასაც. თანდათანობით სხვა დაწყებით სკოლებში ინერგებოდა პრაქტიკული სწავლება, რაც მშრომელი მოსახლეობის დიდ ინტერესს იწვევდა.

დაწყებითი სკოლების ზემო საფეხურს წარმოადგენდა უმაღლესი დაწყებითი სკოლა, სადაც სწავლობდნენ შედირებით შეძლებული ოჯახების შვილები. აღნიშნული სკოლის კურსდამთავრებულებს უფლება ეძლეოდათ ემუშავათ მოსწავლებლიდ დაწყებით სკოლებში, ან დაბალი რანგის მოხელეებად მსგავსი სკოლა ბათუმში ორი იყო: ბათუმის საქალაქო ექვსელისიანი და მარიამის სახელობის ქალთა სასწავლებელი.

ექვსელისიანი საქალაქო სასწავლებელი, როგორც ქრისტიანული ცხრილშია აღნიშნული, დაარსდა 1881 წელს. თავდაპირველად იყო გათვალისწინებული იყო სამ კლასზე, ექვსი ვანკოფილებით. 1889 წელს სასწავლებელი გადაკეთდა ექვსელისიან სასწავლებლად, რომლისთვისაც 1888 წელს აშენდა საკუთარი სასკოლო შენობა. სასწავლებელთან უზნეციონირებდა სასწავლო სახელობი, საღურგლო და საზეინკლო სამჭედლო. 1910 წლისათვის



სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 252-ს. სასწავლებელში სწავლის ხარისხი მიღალი იყო.

რაც შეეხება მარიამის სახელობის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელს, იქ ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლოს ღებულობდნენ და წლიური გადასახადი არ აღმატებოდა 20 მანეთს. სასწავლებელში რევოლუციამდე ერთი აჭარელი გოგონაც კა არ სწავლობდა.

აჭარაში აღზრდა-განათლების მთელი სისტემა კლასობრივ პრინციპებზე იყო იგებული. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა მოწყვეტილი იყო საზოგადოებრივ ცხოვრებასა და, მათსადამ ერ პასუხობდა დროის მოთხოვნებს. სასწავლებელში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი საღთო სჯულის სწავლების. სკოლიდან იღებნებოდა ქართული ენა. ქართული ენის დევნა-შევიწროება ქართულ სკოლებში მეფის მთავრობის რუსიფიკატორული პოლიტიკის გენერალური ხაზი იყო.

აჭარის მოსახლეობის პროგრესული ნაწილი თავდამოდებით იბრძოდა გაუმართლებელი პოლიტიკის წინააღმდევ და მოთხოვდა სკოლებში ქართული ენის სავალდებულო სწავლების შემოღებას, აღწევდნენ სათანადო წარმატებასაც. კერძოდ, ქ. ბათუმში მათი მეობებით დაარსდა მუშათა საკურიაო სკოლები, სადაც სწავლება უფასო იყო. ამ სკოლებმა, მათი არსებობის ხანძლივ დროის მიუხედავად, მნიშვნელოვანი წელილი შეიტანეს აჭარის მშრომელებში ქართული წერა-კითხვის ცოდნისა და ელემენტარული განათლების გავრცელების დიდ ერთვნულ საქმეში.

უცილებლობამ განაპირობა, რომ ქერ ბათუმში გახსნილიყო ვაჟთა გიმნაზია. ქალაქის თავის ლუკა ასათიანის, გრიგოლ ვოლესკისა და იგანე მესხის ძალისხმევით გიმნაზია გაიხსნა 1887 წელს. გიმნაზიის დორექტორად დაინიშნა გამოცდილი ბერძაკუი და კარგი ორგანიზაციორი ა. ი. სტრიანოვი.

დასაწყისში გმინაზიაში გაიხსნა სამი კლასი: მოსამზადებელი, პირველი და მეორე, სადაც 121 მოსწავლე მიიღეს თავდაპირველი მოსწავლეთა რაოდენობა თანდათანობით მატულობდა კლასების მატების კვალობაზე. გიმნაზიასთან შექმნილი იყო მდიდარი წიგნიდი ფონდი სათანადო ბიბლიოთეკით.

გიმნაზიასთან ფუნქციონირებდა ეკლესია და სპორტული დარბაზი.

1909 წელს გიმნაზიასთან შეიქმნა სასწავლო სახელოსნოები. იმის გამო, რომ იქ სწავლის ქრის მაღალი იყო, დარჩეთა შევილები ფაქტურულ და ერ სწავლობდნენ. გიმნაზიის კურსდამთავრებულებს ეძლეოდათ უფლება სწავლა გაეგრძელებინათ რუსეთის უნივერსიტე-

ტებში ან დაეწყოთ შრომითი საქმიანობა მაღალ თანამდებობებზე. პლატონია  
თავდაპირველად გიმნაზია შესახლებული იყო დაქირავებულ  
შენობაში, რომელიც ეკრ იქმაყოფილებდა მოთხოვნილების, იმიტომაც  
გადაწყდა გიმნაზიისათვის საკუთარი საწავლო კორპუსის შენებ-  
ბლობა ზღვის პირას. ზია ხუსკინის ძე აბაშიძის მაძულიდან გამოიყო  
მიწის შესაბამისი ნაცვეთი. შენობის პროექტის შედეგა დაევალა ინჟინერ  
სედელნიკოვს. შენებლობა დამთავრდა 1903 წელს (ახლანდელი  
რუსთაველის სახ. ბათუმის უნივერსიტეტის დელი კორპუსი). 1904  
წლიდან გიმნაზიის დირექტორად დაინიშნა ი. ა. ვინოგრადოვი.

ვაჟთა გიმნაზიის პარალელურად გადაწყდა ბათუმში გახსნილიყო  
ქალთა გიმნაზია; ბათუმელთა მაცნებასაც დიდი პრძოლის შემდეგ  
ფრთხები შევისა. ქალთა გიმნაზია გაიხსნა 1900 წლის 26 სექტემბერს  
სუკიანის ეკრძო ბინაში, ახლანდელი რუსთაველისა და ლუგა ასათა-  
ანის ქუჩების კეთაში. 1904 წელს ქალთა გიმნაზია განთავსდა  
ორსართულიანი კაბიტალურ შენობაში, სადაც ახლა ფუნქციონირებს  
დაიგით იმამშენებლის სახელობის №2 ქართული საშუალო სკოლა  
(ჭინჭარაძისა და მელიქშვილის ქუჩების კეთა). ქალთა გიმნაზიის  
პირველ დირექტორად დაინიშნა ნ. ნ. ტიბლენი, 1902 წლიდან ლ. ი.  
სახაროვა.

დასწუსიშივე გიმნაზიაში იყო ერთი მოსამზადებელი და ოთხი  
წეველებრივი კლასი. თავდაპირველად გიმნაზია განთავსდა ვაჟთა  
გიმნაზიის დამხმარე შენობაში, სადაც სწავლისათვის ცუდი პირობები  
იყო. 1904 წელს, როგორც ითქვა, გიმნაზიისათვის აშენდა სპეციალუ-  
რი ნაგებობა. გიმნაზიას პრინციპური განვითარების და მოცულობითი  
დარბაზი. სასწავლებელში ღებულობრივ მხოლოდ პრივილეგირე-  
ბული ოჯახების შვილებს, რაც განპირობებული იყო მაღალი  
გადასახიდით.

1909 წელს გიმნაზიასთან გაიხსნა პროფესიონალური  
განყოფილება, სადაც ისწავლებოდა ჭრა-კერვა, ხელოვნური ყვავ-  
ილების დამზადება. (Батуми и его окрестности Батуми, 1906 г. с. 612).  
1921 წლის 17 მარტს საქართველოს დემოკრატიული მთავრობის  
ყოფილმა წევრებმა წევ უორდანის ხელმძღვანელობით დატოვეს ქ.  
ბათუმი. იმავე წლის 18 მარტს ბათუმში საბჭოთა წყობილება  
დაიყიდება. რომლის შემდეგიც შეიტმნა ახალი ერთობის სასკოლო სის-  
ტემა, განათლების დარგში დამყირდე სრული სოციალური თანამწერ-  
ორობა მოსახლეობის ყველა ფენის ბავშვებისათვის. განხორციელდა  
სისალხო განათლების დემოკრატიზაცია.

საბალხო განათლების სისტემა შემდეგი რეოლებისაგან  
ჩიმოყილიბრი:

ა) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, ბ) სხვადასხვა ტიპ-



ისა და საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, გ) საფეხურის სკოლისგარეშე საიღმზრდელო დაწესებულებები, დ) დაბაილო და საშუალო პროფესიული განათლების სკოლები, ე) უმაღლესი სისწავლებლები, ვ) მოზარდთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. (ეთერ ცივაძე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარება აქარაში, ბათუმი, 1970 ვე. 35)

სკოლამდელი აღზრდა მოცველა ბავშვებს 3-დან 6 წლამდე.

ბავშვთა ბაღების ქსელი ბათუმში ნელა ვითარდებოდა, რომლის ძირითადი მიზეზი იქტირული ოჯახის კორჩაკეტილობა იყო. 1925 წლისათვის სკოლამდელი აღზრდის ქსელში გამოიჩინდა ქ. ბათუმის ცენტრალური ბავშვთა ბაღი, რომელიც გაიხსნა 1921 წლის 20 მაისს. ბაღში ფუნქციონირებდა 4 განყოფილება: ორი ქართული, ერთი რუსული და ერთი სომხური. ასევე სკოლამდელი აღზრდის ბავშვთა ბაღები ფუნქციონირებდნენ პირველი საფეხურის სკოლებთან: ისინი უთანაბრდებოდნენ მოსამართებელ კლასებს და ითვლებოდნენ თოხტლელის ნულოვან ჯუფებად გადიოდა დრო და საზოგადოებრივ საქმიანობაში სულ უფრო და უფრო მეტი ქალი ებრებოდა და მის პროპორციულად იზრდებოდა ბავშვთა ბაღების როიდენობაც. (აქარის ცენტრალური სახ. არქივი, ფონდი რ-5, აღწერა №1, საქმე №64).

1926 წლისათვის ბათუმში ბავშვთა ბაღების რაოდენობა გაიზარდა 6-მდე (450 ადგილზე), 1936 წლისათვის მათი რიცხვი ჩინდეტამდე გაიზარდა, ხოლო 1995 წლისათვის 33 გამხდარა, დღეს საბავშვო ბაღები კრიზისულ მდგომარეობაშია, რაც განპირობებულია დღვევანდველი ცუდი ეკონომიკური პირობებით. მიუხედავიდ ამისა, ბავშვთა ბაღები, რომელებსაც მონდომებული ხელმძღვანელი და გამრჩე კოლექტივი ჰყავთ, ტრადიციულად მუყაითად შრომობენ. ამაში აქტიურ როლს ასრულებენ მშობლებიც.

ბავშვთა ბაღების აღმზრდელ-ელაგოგების რეალური ხელფასების დაცემაში გამოიწვია კიდერების დიდი დენადობა, რამაც ისევე როგორც სკოლებში, შექმნა გამოცდილი პედაგოგების დეფიციტი. ხელფასების მოწესრიგება გარინტია ბავშვთა ბაღებში კადრების შესძირებულიდ.

1921 წლის მარტში ბათუმის რევკომთან შეიქმნა განათლების განყოფილება, რომელიც 1921 წლის ნოემბერში ვარდაიქმნა აქარის ა.რ. განათლების კომისარიატად.

1922 წლის დეკრეტით აქარის სახალხო კომისარიატთა საბჭომ სახელმწიფო ენად ქართული ენა გამოაცხადა. რაც ხალხმა დიდი სიხარულით მიიღო. ეს იქტი იძლეოდა საშუალების, რომ სკოლებში სწავლება წარმოიქმნოს მშობლიურ ენაზე, რასაც აქარის მოსახლეობა მოკლებული იყო საუკუნეების განმავლობაში.

სულ უმოქალეს დროში სკოლების რაოდენობა და შესაბამისად გასწავლეთა რიცხვიც საფრთხობლიდ გაიზარდა. ამის ნათელი დადასტურებაა იმ ეს სტატიისტიკური მონაცემები:

სკოლებისა და მოსწავლეთა რაოდენობა ქ. ბათუმში  
მეფის რესეტის დროს:

1. სკოლების რაოდენობა — 13
2. მოსწავლეთა რაოდენობა — 2265

საქართველოს დემოგრაფიული რესპუბლიკის პერიოდში:  
1918-1921 წ.წ.

1. სკოლების რაოდენობა — 13
2. მოსწავლეთა რაოდენობა — 2265

1928 წლისათვის:

1. სკოლების რაოდენობა — 25
2. მოსწავლეთა რაოდენობა — 6832 / აჭარის ცენტრალური ორგანიზაციის ფინანსური 1. საქმე №64, /

დღის კურადღება ექცეული სკოლების ხელმძღვანელთა შერჩევის საქმეს. მთავრე დამოკიდებული იყო სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცება და სწავლების მაღალი ხარისხის მიღწევა. იღია ჰავებადგინის გარდაცვალების შემდეგ, ამ საქმეს უდიდეს ყურადღებას უთმობდა ქ. ბათუმის დეპუტაცია, მისი ქართული ფრთა, რომელიც ძირითადად ქართველი პატრიოტებისაგან შედგებოდა. იმაში დაფინანსდებოთ, თუ თვალს გადავისლებთ სასწავლებლის ხელმძღვანელთა შემაღებელობას 1923 წლისათვის:

№	სკოლების დასახელება	გამგები
1.	პირველი ქართული შრომის სკოლა	ი. ღლონტი
2.	მეორე ქართული სკოლა	ნ. გიცელი
3.	მესამე ქართული სკოლა	მიხ. შარაშიძე
4.	მეოთხე ქართული სკოლა	ე. არნოლდი
5.	მეხუთე ქართული სკოლა	ალ. მგელაძე
6.	მეექვსე შრომითი სკოლა	ე. გომანი
7.	მეშვიდე შრომის სკოლა	ხიქმეთ-ჯვევლურ ზადე

8.	მერგე შრომის სკოლა	ვ. ჩიბლიკიანი
9.	მეცხრე სომხური სკოლა	რუბენ აღმანიანი
10.	მეთე ბერძნული შრომის სკოლა	კირიაკოვი
11.	მეთერმეტე ებრაელთა სკოლა	ლევ მოგილევსკი
12.	მეთორმეტე სკოლა (რუნიგზის)	ზექარია წულაძე
	შრომის სკოლა	ანა ხიკოვა
13.	მეცამეტე რუსული სკოლა	

ახალი სკოლები იხსნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის დაინტერესების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, 1930 წლისათვის სკოლის ასაგის ბავშვების 17% სკოლის გარეთ იყო დარჩენილი, სკოლაში მათი მიზიდვის მიზნით მოსწავლეთა მიღება გრძელდებოდა მთელი წლის განმავლობაში.

ქ. ბათუმში წლების მიხედვით (1923-1930 წ.წ.)

სკოლებისა და მოსწავლეთა ზრდის ქრონოლოგიური  
ცხრილი

№	სასწ. წლების მიმდევრობა	სკოლების რაოდენობა	მოსწ. რაოდენობა
1.	1923-24 ს.წ.	15	5681
2.	1924-25 ს.წ.	18	6060
3.	1925-26 ს.წ.	18	5245
4.	1926-27 ს.წ.	18	5406
5.	1927-28 ს.წ.	18	5581
6.	1928-29 ს.წ.	25	6832
7.	1929-30 ს.წ.	25	7489

(ეთერ ციფაშე, ზოგადსაეთნმანათლებლო სკოლის განვითარება  
აჭარაში. ბათუმი, 1970 გვ. 58)

განათლების დარგში დამყარდა სრული სოციალური თანასწორობა მოსახლეობის კველა ფენის ბავშვებისათვის, რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, აღრე ხომ უსახსრობის გამო, ბევრი ნიჭიერი ბავშვი სკოლის გარეთ რჩებოდა, ან ვერ იღებდა შესაფერის განათლებას.

ერთიანი სასკოლო სისტემის შექმნის-საფუძველზე დაწყებითი და საშუალო სკოლების სისწავლო გეგმები შეთანხმებული იყო ერთმანეთთან. დაწყებითი სკოლის კურსდამთავრებული კოველგვარი

შეფერხების გარეშე სწავლას იგრძელებდა საშუალო სკოლაში. ამგვარად, სკოლა გახდა საფეხუროვანი. დაწყებითი სკოლა გახდა პირველი საფეხური. იგი ოთხწლიანი იყო. პირველი წელი მოსამზადებელ კლასად ითვლებოდა.

მეორე საფეხურის სკოლებად ითვლებოდა 7-9-კლასიანი სკოლები. 1925 წლისათვის ბათუმში ფუნქციონირებდა 7 შვიდწლიანი და 2 ცხრაწლიანი მეორე საფეხურის სკოლები. ეს ახალი სისტემა საქართველოში დაინერგა 1923 წლიდან.

ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები გადაეცეთდა საშუალო სკოლებად, შესაბამისად მათ ეწოდა პირველი და მეორე აბძოთა მეორე საფეხურის სკოლა. აჭარის განსახვამის 1922 წლის 16 ივნისტოს №158 ბრძანების საფუძველზე ყველა მეორე საფეხურის სკოლა გადაეცეთდა ტექნიკურად, რომელებსაც დაემატა სიტყვა „ჰუმანიტარული“, „მექანიკური“, „ბედიგოგიური“ და ა. შ.

1924 წლისათვის, მაგალითად, ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები გადაეცეთდა ჰუმანიტარულ ტექნიკურად, რომელიც 1925 წლისათვის გაუქმდა და მის მავივრად დაარსდა მეორე საფეხურის ქართულ-რუსული ცხრაწლებიანი სკოლები.

განათლების ახალი სისტემის მიზანი იყო აჭარის მოსახლეობაში უწიგნურობის და მცირემცილდებობის ლიკვიდაცია. ამ მიზნით სკოლების პარალელურად გაისხნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკიდაცია და მცირემცილდებო სკოლები, საღაც სწავლას იგრძელებდნენ წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების კურსდამაგრებულნი.

ქალაქ ბათუმში ფუნქციონირებდა იგრეთვე ორი აფხაზური სკოლა. ერთი გოროლოგში, მეორე — სოფელ ანგისაში. პირველი აფხაზური სკოლა დაარსდა 1919 წელს და წარმოადგენდა გოროლოგის რუსული სკოლის განკოთილებას. 1921 წლიდან აფხაზურმა სკოლაში დამოუკიდებლობა მიიღო, ხოლო მეორე აფხაზური სკოლა დაარსდა 1921 წელს. სოფელ კახაბერში ფუნქციონირდა ებჯა იგრეთვე სკოლა ქურთებისათვის, რომელიც გაისხნა 1925 წელს. აქ მოსწავლეთა რომელნიცა 70-მდე აღწევდა. მათ შორის იყვნენ ადგილობრივი მოსახლეობის შვილები.

ფუნქციონირებდა აგრეთვე აჭარისტანის მუშათა ფაქულტეტი, საღაც სწავლა მიმდინარეობდა საღამოს სიათებში. ფაკულტეტზე სწავლობდნენ ვლეხები და მუშები. პირველი გამოშვება მოეწყო 1928-1929 სასწ. წლებში.

ამავე პერიოდში ბათუმში ფუნქციონირებდა სხვადასხვა მიმდათულების კურსებიც, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროფესიონალური განათლების აღორძინებისათვის. კურსოდ: 1.



საბუღალტრო — 2 კერძო / 2. საქმის მწარმოებლის, კურსების  
საბუღალტრო კურსები პროფსაბჭოსთან. 4. ჭირა-კერვის კურსები,  
პროფსაბჭოსთან — 2 და 5. საზღვაო — ნოსნობის კურსები. — აჭარა  
ის ცენტრალური ორგანიზაციის ფონდი რ-5 აღწერა №1 საქმე №78/  
ზემოთ აღნიშნული რეორგანიზაციის შემდეგ ქალაქ ბათუმში  
1926-1927 ს. წ. შემორჩი:

1. ტექნიკური — 3
2. ცხრაწლედი — 2
3. შვიდწლედი — 4
4. ოთხწლედი — 4
5. პარტსკოლა — 1
6. ბავშვთა სახლი — 1
7. ბავშვთა ბაღი — 1

ქ. ბათუმის სკოლების დასახელება  
/ფონდი 17, 1927 წ. აჭარის ა.რ. სახელმწიფო ცენტრალური  
აღწევის/.

No	სკოლების დასახელება	კურსების რაოდ-ბა	მოსწავლეთა რაოდ-ბა	სკოლის მისამართი
1.	ქართული 9-წლედი	12	490	ჯინუარიას ქ. №17, ყოფილი ქალთა გიმნაზიის შენობა
2.	რუსული 9-წლედი	14	580	" "
3.	ქართული 7-წლედი	16	672	რუსთაველის ქ. 26
4.	ბერძნული 7-წლედი	14	531	დ. თავდაცემულის ქ. №49
5.	სომხური 7-წლედი	15	527	დ. თავდაცემულის 1
6.	თურქული 7-წლედი		290	ლ. ასათიანის №1
7.	ქართული 4-წლედი	11	413	დ. თავდაცემულის 47
8.	რუსული 4-წლედი	10	312	ნინოშვილის ქ. 5
9.	რუსული 4-წლედი		329	მელიქიშვილის ქ. 33
10.	ქართული პირველი და მეორე საფუძვლის სკოლა		125	9 მარტის ქ. №5 (ცენტრალურის ქ.)
11.	აჭარულ ბავშვთა სახლი			სელიმ ბირშიაშვ- ილის ქ. 4

12. ცენტრალური ბავშვთა  
სახლი

ნინოშვილის ქ. №1

სულ — 5322 მოსწავლე  
მ.შ. ეროვნებათა მიხედვით:

1. ქართველი — 2582
2. რუსი — 973
3. სომები — 752
4. ბერძენი — 562
5. ებრაელი — 229
6. თურქი — 166
7. სხვადასხვა — 68

აჭარის ა.რ.სახ. ცენტრალური ორქივი, ფონდი რ-5, ღლწერა — 1, საქმე №641. აჭარის სკოლებისთვის რელიგიური მრწმვის გათვალი-სწინებით დაშვებული იქნა გამონაცელისი და 20-იანი წლების ბოლომდე ისწავლებოდა თურქული ენა, ხოლო შავმაღაინური სკოლ-ის კანონები 20-იანი წლების პირველ ნახევრამდე, ამისი მიზანი იყო აჭარელი ბავშვის ჩამოცილება მედრესესაგან.

1928 წლისათვის მე-6,7,8 და 9 კლასებში სწავლა ფასიანი იყო, სწავლის ქირის გადასახადისაგან თავისუფლებოდნენ მხოლოდ წითელ ირმიაში მომსახურე გლეხის შვილები, რომლებიც განთავ-ისუფლებულნი იყვნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადასახადისაგან, უდედმამონი, მასწავლებლებისა და ინვალიდთა შვილები.

ის მოსწავლეები, რომლებიც სწავლის ქირის ვერ ვადაიხდიდნენ, ირიცხებოდნენ სკოლიდან.

1933 წლისათვის ქალაქ ბათუმში განხორციელდა დაწყებითი საგ-ალდებულო სწავლება, რასაც მოჰყვა დაწყებითი სკოლების რაოდ-ენობის გაზრდა. პარალელურად ამისა იკრძალებოდა ბავშვების სწავ-ლება მედრესეებში.

1934 წლისათვის რეორგანიზაციის შემდეგ, ქ. ბათუმში ფუნქცი-ონიდებდა შემდეგი სკოლები:

1. ალ. მგელაძის სახელმწისი არასრული ქართული სკოლა —  
დ. თავდადებულის ქ. №49
2. ძერუინსკის სახელმწის სრული საშუალო სკოლა №2 —  
ნინოშვილის 5
3. მაიაკოვსკის სახელმწის სრული სომხური საშუალო სკოლა —  
№3 — რუსთაველის ქ. №5



4. ლენინის სახელობის სრული ქართული საშუალო სკოლა №4  
— ჭირვისაბის ქ. №17

5. წყლოსანთა რუსული არასრული საშუალო სკოლა №5 —  
გვებაშვილის ქ. №8

6. ბერძნული სრული საშუალო სკოლა №6 —  
დ. თვედადებულის ქ. №51

1921. რუსული არასრული საშ. სკოლა №7 — რუსთაველის ქ. №30

8. სტალინის სახელობის რეინგზის არასრული საშ. სკოლა №8  
— საბარევ საღვერის №8

9. ნინოშვილის სახელობის არასრული საშ. ქართულ, სომხურ,  
რუსული სკოლა №9 —

პროლეტარიატის გზატკ. №40

10. სტალინის სახელობის სტალინის უბნის არასრული ქართული  
საშუალო სკოლა №10 — მთის ძირის ქ. №10

11. ანგილის დაწყებითი ქართული სკოლა №11

12. ბარცხანის არასრული ქართული საშუალო სკოლა №12 —  
ბარცხანის გზატკეცილი №2

13. თურქული არასრული საშუალო სკოლა №13 —  
რუსთაველის ქ. 37

14. კომინტერნის სახელობის დაწყებითი სკოლა №14 —  
ლ. ასათიანის ქ. №74.

15. ნაგთობგადამამუშავებელი ქარხნის ქართულ-რუსული  
დაწყებითი სკოლა — სიღვერი თამარი.

16. პედტექნიკუმთან არსებული არასრული ქართული საშუალო  
სკოლა — რუსთაველის ქ. №26.

17. არასრული ქართული საშუალო სკოლა — ლ. ასათიანის ქ.  
№70 / აჭარის ცენტრალური ორქიფი, ფონდი რ-5,  
ოღწერი №1, საქმე №3071

1934 წლისათვის ბათუმში ძირითადად განხორციელდა  
საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი სწავლება, ხოლო 1940  
წლისათვის უკვე წარმოებდა საყოველთაო შეიღწილიანი სწავლება.

1967 წლის 7 აპრილს აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს სესიაშ  
განიხილა საკითხი — „აჭარის აკრონომიურ ჩესპუბლიკაში  
საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასცვლის შესახებ“.

იმ ახლოგიზრდებისათვის, რომლებიც ჩაბმული იყვნენ შრომის  
ფერხულში და სურვილი გააჩნდათ მიეღოთ საშუალო განათლება  
1959 წელს ბათუმში გაიხსნა დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო  
საშუალო ქართული სკოლა, სკოლის კუსდამთავრებულთა უმრავლე  
სობამ მიიღო უმაღლესი განათლება.

1966 წელს ბათუმში გაიხსნა დაუსწრებელი ზოგადსაგანმანა-



თლებლო რუსული საშეალო სკოლა, რომელიც 1970 წელს გადაკეთდა ქართულ-რუსულ დაუსწრებელ ზესაგანმინათლებლო საღამოს შესახვათის საშუალო, მეზღვაურთა და მეთევზეთა სკოლად.

საღისეურტაციო ნაშრომის პირველი თავის მესამე ქვეთაგვეში განხილულია ქ. ბათუმში პროფესიულ-ტექნიკური განათლების განვითარების თანმიმდევრობა.

